

თვეური

უკველკვირული გაზეთი

უფრო წლის დამლევამდის 3 მან.; სუთი თვით 2 მან. | 1877-1906 | ადრესი: ცფილისი, ტრეილინის ქ., №5, ცელეთ, № 922.

სარჩმნი: — ნაფიც მსაჯულთა სამართალი, ივ. ზურაბიშვილი-სა. — თანამედროვე ვითარება, კ. ს. — სა. — იმერეთში, ქაქუცხელასი. — ეროვნება ისტორიაში (პ. ლავროვის „ისტორიულ წერილებიდან“), თარგმანი დ. ქოლეველისა. — ბიბლიოგრაფია, ივ. რამიშვილისა. — ეიფელის კოშკზე, აკაკისა. — მიხაკას ნამუშევარი, ვ. შალიკაშვილისა.

ნაფიც მსაჯულთა სამართალი

დღეს-დღეობით ნაფიც მსაჯულთა სამართალი მეტ-ნაკლებად შემოღებულია ყველა ევროპის სახელმწიფოში, მაგრამ დღესაც არ დამცხრალა კამათი ამ სამართლის მოსარჩლეთა და მოწინააღმდეგეთა შორის.

ნაფიც მსაჯულთა სამართლის მოწინააღმდეგენი უარს არ ჰყოფენ იმ აზრს, რომ დამნაშავეს განსამართლების საგანი უნდა იყვეს საზოგადოების დაცვის ინტერესი, ან როგორ გაბედავენ: ხომ ვერ იტყვიან, რომ ხალხია შექმნილი ამა თუ იმ დაწესებულებისათვის და არა ესა თუ ის დაწესებულება ხალხისათვის? არა, ამას არ ამბობენ, მაგრამ ამტკიცებენ, რომ ხალხს ან, უფრო სწორედ, მის წარმომადგენლებს, ე. ი. ნაფიც მსაჯულთ, არ შეუძლიათ წესიერი და ნამდვილი განსამართლება დამნაშავესიო. ამგვარ აზრს დასასაბუთებლად მოჰყავთ შემდეგი აზრები.

ნაფიცი მსაჯულები ხშირად იცვლებიან და ამიტომ მათ განაჩენებს შემთხვევითი ხასიათი ეძლევა; ნაფიც მსაჯულებს სამართალი იგივე ქუჩის სამართალია; ნაფიცი მსაჯულები სასამართლოში უსიტყვო მსმენელები არიან და გამტყუნება-გამართლება კი მათ ხელშია; ნაფიც მსაჯულებს არ ევალებათ განაჩენის დასაბუთება და ამიტომ შესაძლებელია, რომ ისინი არ მოეკიდონ თავიანთ დიდ მოვალეობას ისე გონიერად და გულდასმით, როგორც საქიროა. აი ის ვითომდა ნაკლებდევანება ნაფიც მსაჯულთა სამართლისა, რომელსაც უკეთებენ მას მისი მოწინააღმდეგენი.

არ არის საჭირო არც დიდი ცოდნა და არც დიდი დაკვირვება ამ საბუთების უსაბუთობის დასადასტურებლად და დასამტკიცებლად. მიყვებით მუხლ და მუხლ. ნაფიცი მსაჯულები ხშირად იცვლებიან და ამიტომ მათ განაჩენებს შემთხვევითი ხასიათი ეძლევათა. მართალია, ნაფიცი მსაჯულები ხშირად იცვლებიან საზოგადოდ მიღებულია, რომ ერთი და იგივე პოლენობა ნაფიც მსაჯულებისა მოსამართლეობს მხოლოდ რამდენსამე საქმეში, ეგრედ წოდებულ სესისაში. ნაფიც მსაჯულთა სამართალი არსებობს ევროპაში რამდენიმე საუკუნეა და, რამდენადაც მისი ისტორია გვიჩვენებს, მის განაჩენებს სრულებით არ ეტყობა არავითარი შემთხვევითი ხასიათი.

სიათი. ან კი რას ნიშნავს „შემთხვევითი ხასიათი“? შემთხვევაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთისა და იგივე მოვლენის შესახებ ერთხელ ერთს იტყვიან და მეორეჯერ — მეორეს, მაგრამ შეიძლება განა იგივე ითქვას გარეგნად მსგავს ბოროტმოქმედების შესახებ? შეიძლება ითქვას, რომ ყველა მკვლელობა ერთნაირია, ერთი და იგივე მოვლენა არისო? დღეს უსუსურმა ბავშვმა კი იცის, რომ გარეგნად მსგავსი ბოროტმოქმედებანი დიდად განირჩევიან ერთი მეორისაგან, რომ არც ერთი მკვლელობა, მაგალითად, მეორეს არა ჰგავს თავის შინაგანის პირობებით. შემთხვევით ხასიათზე სწორედ იმას შეუძლია ლაპარაკი, ვინც არ არის მიჩეული საქმის ღრმად ჩაკვირვებას და იმ თავისებურების აღმოჩენას, რომელიც ყოველ ცალკე მოქმედებას თან ახლავს. ყოველივე ბოროტმოქმედება იმდენადვე განირჩევა მსგავსისაგან, რამდენადაც ადამიანი ადამიანისაგან, და, როგორც ორი სრულებით მსგავსი ადამიანი წარმოუდგენელია, ისე წარმოუდგენელია მათი სრულიად მსგავსი საქციელიც. მართალია, სახელმწიფო მსაჯული ხშირად ერთნაირად სჯის მხოლოდ იმის მიხედვით, რომ ერთი ბოროტმოქმედება გარეგნად ემსგავსება მეორეს. ამრიგად ასეთ მსაჯულის განაჩენები მოკლებულია „შემთხვევით ხასიათს“ და ერთგვარია, მაგრამ ასეთს ერთგვარობას სამართალთან არაფერი არ აქვს საერთო. ამგვარი მოსამართლე მოსამართლე კი აღარ არის, არამედ რაღაც მანქანა, რომელიც ამოწმებს გარეგან პირობებს და დაწესებულის ნიხრის მიხედვით ასამართლებს დამნაშავეთ, თითქო ისინი ცოცხალი ადამიანები კი არ იყვნენ, არამედ რაღაც უსიცოცხლო საგნები. ასეთი შეხედულება ჰქონდა ერთ დროს მედიცინას, როდესაც ავადმყოფს კი არ სწამლობდნენ არამედ ავადმყოფობას. ჩვენს დროში კი სწამლობენ ავადმყოფს და არა ავადმყოფობას. ამ სახით ის, რასაც მოწინააღმდეგენი შემთხვევითს უწოდებენ, ნიშნავს ცალკე საქმის, ცალკე დამნაშავეს განსაკუთრებულ შესწავლას და ასეთ შესწავლის მიხედვით განსამართლებას, ხოლო ასეთი სამართალი უფრო მართლიერია და უფრო უნაკლებულია.

ნაფიც მსაჯულთა სამართალი იგივე ქუჩის სამართალი არისო. მოწინააღმდეგეებს არ მოსწონთ, რომ იმ თორმეტ კაცში, რომელნიც შეადგენენ ნაფიც მსაჯულთ, ირჩევენ ყველა რასულწლოვანს და პატიოსან მოქალაქეს. ასეთს თორმეტულს, რასაკვირველია, ვერ დაერქმევა ქუჩის ხალხი იმ აზრით, რა აზრითაც ამბობენ ამას ნაფიც მსაჯულთა მოწინააღმდეგენი. ჩვენს ხალხში ნათქვამია: შვილმა კაცმა რომ გიპირას, ბრმა ხარო, უნდა დაიჯერო. ამით ხალხს ის უნდოდა ეთქვა, რომ შვილ კაცს, ერთად შეყრილს, შეუძლია ნამდვილ საზოგადოებრივ აზრის გამოთქმა. ამასთან ეს ანდაზა სრულებით არ მოითხოვს, რომ ეს შვილი კაცი დახელოვნებული იყვეს

თვალის გასინჯვაში. მით უფრო თორმეტ კაცს, რომელნიც სასამართლოში მოისმენენ რაიმე საქმეს, შეუძლიათ ამა თუ იმ დამნაშავეს შესახებ გამოსთქვან ის აზრი, რომელსაც საზოგადოება გამოსთქვას ამისევე შესახებ, ე. ი. შეუძლიათ საზოგადოებისა და ხალხის მაგიერობა გასწიონ. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მოსაზრება, ე. ი. ნაფიც მსაჯულთა „ქუჩის ხალხად“ მონათვლა გამოწვეულია უფრო გალანძღვის სურვილით, ვიდრე ნამდვილას კრიტიკით.

ნაფიცი მსაჯულები უსიტყვო მსმენელები არიან და გამტყუნება-გამართლება კი მათზე დამოკიდებულიაო. ამით მოწინააღმდეგე იმას ამბობს, ვიკომც ნაფიცი მსაჯული არაფერ მონაწილეობას არ იღებდეს განსამართლებაში და განუსჯევლად, ასამართლებდეს დამნაშავეს. აქ სამართლიანი იქნება იკითხოს კაცმა, რაოდენ მართებულად იქცევა მთელი ის საზოგადოება, რომელიც, სასამართლოში თუ სასამართლოს გარეშე რეალურს ადგენს ხოლმე ამა თუ იმ საქმეს და ისე სდებს თავის საზოგადოებრივ მსჯავრს რომელსავე დამნაშავეს მოქმედებას? ექვს გარეშეა, რომ მთელის საზოგადოების თუ საზოგადოების ნაწილის მსჯავრი უფრო მართლიერია, ვიდრე იმ მოსამართლეთა განაჩენი, რომელნიც არა „უსიტყვო მსმენელებსავე“ არჩევენ სასამართლოში საქმეს, ვინაიდან ნათქვამია: ხმა ერისა — ხმა ღვთისაო. და თუ ეს ჩართალია საზოგადოების შესახებ, მართალი უნდა იყოს საზოგადოების წარმომადგენელთა შესახებაც. მართალია, ესენი უსიტყვოდ ყურს უგდებენ იმას, რაც ხდება სასამართლოში, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ უყურადღებოდ ეკადებოდნენ საქმის წარმოებას.

უკანასკნელ და უმთავრეს საბუთად ნაფიც მსაჯულთა სამართლის წინააღმდეგ მოჰყავთ ის, რომ ნაფიცი მსაჯულები ვალდებული არ არიან თავიანთი განაჩენი დაასაბუთონ. ნაფიც მსაჯულს ჰკითხავენ ხოლმე, დამნაშავედ სცნობს იგი ბრალდებულს, თუ არა. ამ კითხვაზე ნაფიცმა მსაჯულმა ერთის სიტყვით უნდა უპასუხოს, — ან ჰო ან არა, და ამ ერთ სიტყვაში არის მისი განაჩენი. ამ ერთის სიტყვის თქმა ძლიერ ადვილიაო, ამბობენ მოწინააღმდეგენი, და თუ მსაჯულს არ მოსთხოვეთ მისი „ჰო-არას“-ის დასაბუთება, მის მსჯავრს ეკარგება სიღინჯე და სერიოზული ხასიათიო. საკვირველი მოსაზრებაა. სწორედ იმას უწუნებენ ნაფიც მსაჯულთა სამართალს, რასაც უდიდესი და უღრმესი მნიშვნელობა აქვს, რითაც ეს სამართალი ისე ძირითადად განირჩევა სახელმწიფო მსაჯულთა სამართლისაგან.

აქ ჩვენ დავებხსნებით მოწინააღმდეგეთა საბუთების თვითუბრუნებას და გადავართ ნაფიც მსაჯულთა სამართლის დახასიათებაზე. მკითხველი ამ დახასიათებიდან უფრო ნათლად დაინახავს იმასაც, თუ რად სჯობია, რომ ნაფიც მსაჯულთ არ მოეთხოვებათ განაჩენის დასაბუთება.

ყველამ იცის, რომ ყოველ ბოროტმოქმედების გამო შესდგება ხოლმე გამოძიება, რომ, როცა გამოძიება დის რულდება, გამოძიებლისაგან საქმე გადაეცემა ხოლმე სასამართლოს. აი, როდესაც სასამართლოში რამდენიმე ამგვარი საქმე მოგროვდება, სასამართლო ნიშნავს დროს მათ განსახილველად. იქ, სადაც სისხლის სამართლის საქმეები ირჩევა ნაფიც მსაჯულებისაგან, საქმეების გარჩევამდე ინიშნება სასამართლოს სხდომა ნაფიც მსაჯულთა ასარჩევად. არჩევანი ხდება ამნაირად: იმ ოლქში რომელშიაც არის სასამართლო, ესა თუ ის დაწესებულება ადგენს იმ პირთა სიას, ვისაც კა-

ნონი მოსამართლეობის უფლებას აძლევს. სხვა-და-სხვა ქვეყანაში სხვა და სხვანაირი კანონია ამის შესახებ, ხოლო მცენიერული მოთხოვნილება ასეთია: ნაფიცმსაჯულობა შეუძლია ყველა სრულ წლოვან ჯანსაღ მოქალაქეს, რომელიც არსოდეც არ ყოფილა სამართალში მიცემული და დაჯარი. როდესაც შესდგება ასეთი სია, ის გადაეცემა სასამართლოს და სასამართლო კენჭის ყრით ანუ, როგორც ლატარიაში, ბილეთების ამოღებით ირჩევს მოსამართლეთა საქირო რიცხვს ყველა იმ საქმეების განსახილველად, რომელიც წინდაწინვე არის დანიშნული. თითოულ საქმის გასარჩევად ამთვან ისევ იმავე წესით ირჩევა თორმეტი კაცი, რომელნიც წარმოადგენენ ნაფიც მსაჯულთ და სამართალი უნდა გაუჩინონ ხალხსა და სახელმწიფოს.

ნათქვამიდან მკითხველი ხედავს, რომ ნაფიცი მსაჯულები დროებით, სულ მოკლე დროით არჩეული მოსამართლენი არიან, და რომ მათი არჩევანი სრულეს შემთხვევაზეა დამოკიდებული. აი სწორედ ამაზეა დამოკიდებული უმთავრესად ის უპირატესობა და უმჯობესობა, რომელიც ახლავს ნაფიც მსაჯულთა სამართალს. მხოლოდ ასეთი არჩევანი აძლევს ნაფიც მსაჯულს ხალხის ნამდვილ წარმომადგენლის ხასიათს. ვისივე დანიშნული მსაჯული, ცოტა არ იყოს, თავის ამოზრჩევლის მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს; აქ კი შემთხვევით არჩეულს მსაჯულს ვერაფერ ვერ დააყვედრის მის არჩევას, რადგან ის არის არჩეული მხოლოდ იმიტომ, რომ წვერია თავის ხალხის, თავის საზოგადოებისა. ამ რიგად ასეთი მსაჯული, ანუ უკეთ, მსაჯულები თავიანთ საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ და მათ კრებულს იგივე ფერი სდევს, რაც მათ საზოგადოებას. მათი არჩევანი ხდება საქმეების გარჩევის დაწესებისთანავე, — მაშასადამე, წინდაწინ რაინ არ იცის, ვინ იქნება ის თორმეტი კაცი, რომელთაც დროებით მოსამართლის დიადი მოვალეობა დაეკისრებათ. და ამ გარემოებას კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს: ამა მოახერხოს და მოასწროს ვინმემ, რაც უნდა მოხერხებული და გაქნილი იყვეს, ისეთ თორმეტ მოსამართლის მოსყიდვა, რომელთა საქმის გარჩევის წინააღმდეგ ვერაფერ ვერ დაასახელებს.

გარდა ამისა ასეთ არჩევანს სხვა შედეგიც მოჰყვება. გუშინ რომ ერთი თავისთვის ვაქრობდა, მეორე ექიმობდა, მესამე მოხელეობდა, მეოთხე უბრალოდ სადმე მუშაობდა და სხვა, — დღეს ასეთის არჩევნის წყალობით, ერთად უნდა შეიყარნენ და თავიანთი აზრი გამოსთქვან იმის შესახებ: არის თუ არა ესა თუ ის ბრალდებული მანვე წვერი მათის საზოგადოებისა. საქირაო მხოლოდ მკითხველმა თავისი თავი წარმოადგინოს ასეთს მდგომარეობაში, რომ მიხედვს იმ სულის ვითარებას, რომელშიაც უნდა იმყოფებოდეს ნაფიცი მსაჯული. მოსამართლეობაში გამოუცდელი ნაფიცი მსაჯული, რომელსაც ერთის მხრით ვალად ედება საზოგადოების დაცვა მანვე პირთაგან, ხოლო მეორე მხრით თავისი სინიღისი უბრალოდ ბრალდებული, იძულებულია თავის გონების მთელის ძალის ნითა და ყურადღებით მოეკიდოს საქმეს, რათა ან ერთს, ე. ი. საზოგადოებას, და ან მეორეს, ბრალდებულს, არ უმტყუნოს მოსამართლეობაში გამოუცდელიობა მას ნებას არ აძლევს იმედი იქონიოს, საქმეს ადვილად გაიგებო, ტყუილსა და მართალს ადვილად მიგვხვებო; მას, კანონების უცოდნარს, არ აქვს განსაზღვრული წარმოდგენა ბრალისა და უბრალოებისა, და იმიტომ ნაფიცი მსაჯული იძულებულია იხელმძღვ-

ნელოს იმ წარმოდგენით, რომელიც მის ს. ზოგადოეაში ტრიალებს და ამრიგად, — მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უჩვევია სსსამართლოსი და სრულებით ახალი კაცია სსსამართლოში, — ნაფიცი მსაჯული ძალაუნებურად გამოსთქვამს საზოგადოების აზრს.

ამაშია სიცხოველე ნაფიცი მსაჯულთა სამართლისა და ამით განირჩევა ეს სამართალი სახელმწიფო მსაჯულთა სამართლისაგან. სახელმწიფო მოსამართლე, რომელიც მუდამ დღე საქმეების გარჩევაშია გაბმული, ბოლოს რაღაც ხელისანს ემსგავსება. შეიძლება პირველში იგი დიდის ყურადღებით მოეკიდოს თავის მოვალეობას, მაგრამ, რაც დრო მიდის, უფრო და უფრო ეჩვევა თავის ხელობას, თვალთავან ეკარგება ის სხვა და სხვაობა, რომელიც არსებობს მის გარშემო, და ბრალდებულთა მაგერ ბოლოს ის თავის წინ მხოლოდ რაღაც გაუნძრველ უსულო საგნებს და ხედავს. თუ პირველში ამაიარი მოსამართლე კარგად არჩედა ივანეს პეტრესაგან, ბოლოს პეტრეც, პავლეც და ივანეც მისთვის მხოლოდ ბრალდებულები არიან, რომელთაც ესა თუ ის კანონი ეხება. ნელ-ნელა და შეუშინველად ასეთ მოსამართლეს ეკარგება კავშირი ნამდვილ ცხოვრებასთან და მის გონებაში მეფედება განყენებული და უსიკოცლო წარმოდგენა და მცნება. ასეთ გადაგვარებას, ნამდვილ ცხოვრებისაგან მოშორებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო მსაჯული მოვალეა ყოველი თავისი განაჩენი და ცალკე მოქმედებაც ამა თუ იმ კანონს შეუფარდოს და დასაბუთოს. ვთქვათ, ბრალდებულს მკვლელობა ბრალდება. მოწმეებმა ერთხმად დაამტკიცეს ეს ბრალდება. კანონი ითხოვს მის დასჯას და მოსამართლე ვალდებულია დასაჯოს, რა გინდ შესაწყნარებელი გარემოებაც ახლდეს ბრალდებულის მოქმედებას; ვალდებულია იმიტომ, რომ მოკლებულია საშუალებას როგორმე დასაბუთოს ასეთ ბრალდებულის გამართლება. ნაფიცი მსაჯულსაც რომ მოეთხოვებოდეს თავისი განაჩენის დასაბუთება, ისიც ისეთსავე გეპირებებაში ჩავარდებოდა.

აქედან ადვილად დანინახავს მკითხველი, რომ თუ ნაფიცი მსაჯული საზოგადოების წარმომადგენელია, თუ მისი განაჩენში უნდა გამოიხატოს საზოგადოებრივი სიმართლე, დასაბუთების მოთხოვნა მისგან მისი სინიდიის თავისუფლების შეზღუდვა იქნებოდა. ამას ისიც რომ დაეუმატოთ, რომ იგი ხშირად სიმართლეს ინსტინქტიურად იგრძნობს, — ცხადი იქნება, რომ ის თავისუფლება, რომელიც მინიჭებული აქვს ნაფიცი მსაჯულს და რომელიც გამოიხატება მარტივ და დაუსაბუთებელ „ჰო“-თი და „არა“-თი, საუკეთესო თავმდაბნა ნამდვილ და უტყუარ სიმართლის და სამართლისა.

განაჩენის დაუსაბუთებლობას აქვს კიდევ ერთი დიდი მნიშვნელობა და ნაფიცი მსაჯულთა სამართლის მოწინააღმდეგეებს სწორედ ეს მხარე აწუხებს უფრო მეტად. ნაფიცი მსაჯული არ ასაბუთებს თავისი განაჩენს; ის ამბობს მხოლოდ: ჰო, დამნაშავეა; არა, უბრალოა. სხვა პასუხს მას ვერ მოსთხოვს ვერაფერ. რაც უნდა საქმე იყოს, რა ბრალიც უნდა ედებოდეს ბრალდებულს, ნაფიცი მსაჯულს ნება აქვს ან „ჰო“ სთქვას, ან „არა“. ამრიგად, რაც უნდა დამტკიცებული იყოს დანაშაული, ნაფიცი მსაჯულს შეუძლია გაამართლოს ბრალდებული. ხშირად მომხდარა, რომ თვით ბრალდებულს უღიარებია თავისი დანაშაული, ანუ უკეთ, თავისი მოქმედება და ნაფიცი მსაჯულთ გაუმართლებით ასეთი დამნაშავე. დაკვირვებამ და გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ასეთი განაჩენები

რაიმე ტინის ან ახირების შედეგი კი არ ყოფილა, არამედ მეტად გონიერ და საფუძვლიან მიზეზით ყოფილა გამოწვეული. ნაფიცი მსაჯული საზოგადოების წევრია და მისი აზრი განმეორება საზოგადოების აზრისა. იმიტომ, როდესაც ნაფიცი მსაჯული რომელსამე მოქმედებას დანაშაულად არ სთვლის და ამართლებს, ეს იმის ნიშანია, რომ არც საზოგადოება ჩასთვლიდა ამ მოქმედებას დანაშაულად. თუ კაცი თავის მოქმედებას უარს არ ჰყოფს და საზოგადოება კიდევ ამ მოქმედებას არ უწუნებს, მაშ სამართალში რაღად არის მიცემული ადამიანი, იკითხავს მკითხველი. მართლაც, თითქო სსსამართლოს გამოსაკვლევ საგანს მხოლოდ ერთი საკითხი უნდა შეადგენდეს, — ჩაიღინა ბრალდებულმა ის მოქმედება, რი მელიც ბრალდება, თუ არა, ხოლო თვით ეს მოქმედება ხომ დანაშაულია, ამას რაღა თქმა უნდა, — ისეთ მოქმედებისთვის, რომელიც დანაშაულად არ არის მიჩნეული, ხომ სამართალშიაც ვერ მისცემენ კაცს. მაგრამ, დახეთ, კაცმა ისეთი მოქმედება ჩაიღინა, რომელიც კანონით დანაშაულად ითვლება, სამართალში რომ მისცეს კიდევ აღიარა თავისი მოქმედება, მაგრამ ნაფიცმა მსაჯულმა მანკი კაამართლეს.

როგორც ზემოდ ვთქვათ, ამის მიზეზი მეტად საფუძვლიანი და გონიერია და არა შემთხვევა რამ ან ახირება. საქმე ის არის, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს შედარებითი ცხრედ წოდებულ სისხლის სამართლის კანონები. ამ კანონებშია განმარტებული, რა და რა მოქმედება ითვლება დანაშაულად და რა დანაშაულს რა სასჯელი მოყვება. ასეთი კანონები, რა თქმა უნდა, ყოველ დღე ვერ გამოიცემა და ვერ გამოიცელება. მართალია, კანონმდებელი თვალყურს ადევნებს მათ და დროის მოთხოვნილებისაზევრ ასწორებს, მაგრამ შეუძლებელია, რაც უნდა კარგად იყოს მოწყობილი კანონმდებლობა, ყველა კანონები კარგი იყოს. ხალხი და მისი ცხოვრება ვითარდება, ხალხის შეხედულება ხან-და-ხან სწრაფად იცვლება ამა თუ იმ მოვლენის შესახებ და კანონი, რომელიც უნდა გამოიხატავდეს საზოგადოების შეხედულებას, მეტ ნაწილად ვერ სდევს თან ცხოვრების წინსვლას და ჩამორჩება ხოლმე. ახლა წირმოიდგინეთ, რომ მოქალაქემ ჩაიღინა ისეთი მოქმედება, რომელიც დღევანდელ საზოგადოების თვალში ან სულ აღარ ითვლება დანაშაულად, ან დღეს უფრო ნაკლებ დანაშაულად ითვლება, ვიდრე უწინ, ხოლო დღესაც უწინდელი კანონია ძალაში, ის კანონი, რომელიც საზოგადოების უწინდელ შეხედულებაზეა ჩამოსხმული და იმ შეხედულების დამაკმაყოფილებელ სასჯელს შეიცავს. ცხადია, რომ სახელმწიფო მოსამართლე ამ კანონის ძალით დასჯოს ამ მოქალაქეს, რადგან მას ნება არ აქვს კანონს გადაუხვიოს. ნაფიცი მსაჯულს კი სრული უფლება აქვს, ასეთი მოქალაქე სრულებით გაამართლოს. სტატისტიკით გამოკვლეულია, რომ, როდესაც კანონი დამკვლევებულია სრულებით ან მეტად სასტიკია, ნაფიცი მსაჯულები, მიუხედავად დანაშაულის დამტკიცებისა, ამართლებენ დანაშაულთ და ამით თითქო უთითებენ კანონმდებელს, კანონი არ გვიარგა და იმიტომ ვამართლებთ დამნაშავესო. კანონმდებელმაც, რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა მიიღოს ასეთი განმარტება და დამკვლევებული კანონი გააუქმოს და სასტიკი დაარბილოს, თორემ სულ ერთია, — ნაფიცი მსაჯულთან ასეთ კანონს გასავალი არ ექნება.

ვ. ზვარბაძე.

თანამედროვე ვითარება

საზოგადოებას ჩვენში და რუსეთშიაც ახლა მეტი სიფიხილუე და თავის ნამდვილ მდგომარეობის მეტი შეგნება ეტყობა. მართალია, ახლა აღარ გაისმის ქუჩებში გაბედული სარევოლუციო სიმღერა და ხალხი წითელ დროშის ქვეშ საჯარო მიტინგებზე არ იკრიბება. მართალია, სხვა და სხვა პირები შეკრებილ ხალხში წინანდელივით აღფრთოვანებულ სიტყვებს აღარ ამბობენ... შეშინებული საზოგადოება ხმა-ჩაკმენდილი შესტკერის მისკენ მოღვრებულ თოფ-ზარბაზნების საშინელ ლულებს და თითქო ხმის ამოღებასაც ვერ ჰბედავს, მაგრამ მაინც ყველასათვის, ვინც მიუდგომელად ჩაუკვირდება საზოგადოების ახლანდელ და წინანდელ მდგომარეობას, ცხადია, რომ ახლანდელ შიშინაობის დროს ხალხი მაინც მეტ შეგნებას იჩენს, ვიდრე წინანდელ „თავისუფალ“ მიტინგებსა და კრებებზე.

მართლაც, წითელი დროშა, სარევოლუციო სიმღერა და მიტინგებზე აღფრთოვანება თავის თავად წევნების მაჩვენებელი არ არის: წითელ დროშას ბავშვებიც აფრიალებენ, სარევოლუციო სიმღერას ხშირად კოპწია ქალიც უმღერის სატრფოს მის სასიამოვნოდ, ხალხი მიტინგებზე საპროტესტოდაც იკრიბებოდა...

ეს პროტესტი უფრო გრძნობით იყო გამოწვეული დიდი ხნის დაგუბებულმა უქმყოფილებამ ბოლოს იჩინა თავი. ხალხმა ვეღარ გაუძლო თვითპრობელ მთავრობის ძალმომრეობას, სახელმწიფოს მოხელეთა თვითნებობას და გაბატონებულ წრეების თარეშს. ათასნაირმა ბოროტმოქმედებამ მართვა-გამგეობის საქმეში, ხალხის ძირითად საქიროებათა უწყურადღებოდ დაგდებამ ძირი გაუთხარეს საზოგადოების კეთილდღეობას და მოაზნადეს ნიადაგი მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის. ამიტომ, როდესაც სხვა და სხვა სარევოლუციო ჯგუფებმა ბრძოლა დაუწყეს მთავრობას, ამ ბრძოლას თითქმის მთელი ხალხი მიემხრო, იმათ გარდა, ვინც მთავრობის ფებთა ზტვერობით თავის დიდიურ ლუკმა პურს შოულობდა ან სიმდიდრეს იძენდა. ხალხი გრძნობდა, რომ უთუოდ უნდა შეცვლილიყო არსებული წეს წყობილება და, რაკი სარევოლუციო პარტიები მის შეცვლას ჰპირდებოდნენ, მხარს უჭერდა ამ პარტიების სარევოლუციო მოქმედებას, თუმცა მათ პროგრამების ზოგიერთ მუხლს არ ემხრობოდა. ხალხის იმ დროინდელ მოქმედებას მხოლოდ საპროტესტო ხასიათი ემჩნევა, — მიზნად დასახული აქვს მხოლოდ არსებულ, ყველასათვის საზარელ წეს წყობილების დამხობა. როგორ უნდა განახორციელოს ხალხმა თავისი პროტესტი, რა გზით უნდა მიადწიოს დასახულ მიზანს ან როგორი წეს წყობილება უნდა დამყარდეს შედეგში, იმაზე გარკვეული შეხედულება არ ჰქონდა არც ხალხის უმეტესობას და არც ხალხში მომქმედ პარტიებს ყველა მეთაურს, საკმარისი დავასახლოთ აქ თუნდ მხოლოდ აგარაული საკითხი, რომელიც თვით სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წინეთ სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი და რომელიც მან ახლა სულ სხვა სახით წამოაყენა. ან გაიხსენოთ კიდევ სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხი, — ის, თუ როგორ უნდა მოქმედოს სხვა და სხვა ეროვნება მომავალ სახელმწიფოში. იმავე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც კისრულობდა ხალხის მეთაურობას, ეს მნიშვნელოვანი საკითხი სულ უყურადღებოდ ჰქონდა დატოვებული. ამ პარტიამ ვერ მოახერხა

ან ვერ გახედა ამ საკითხის შესახებ გადაჭრილ პასუხის მიცემა, მან, — თავისუფლების მომხრემ, — უარჰყო სხვა და სხვა პარტია ეროვნებისთვის თავისუფლება და, სამაგიეროდ, დაჰპირდა „თვითგამორკვევას“... მან უარჰყო „ავტონომიის“ პრინციპი, რომელც საზღვარ გარეთის სოციალ-დემოკრატებს მიღებული აქვთ, მან შეუტკია გვერდი ეროვნულ დაჩაგვრის მოსპობას...

ამნაირად ხალხი იბრძოდა თვითპრობელობასთან და არ იცოდა არსებულ წეს წყობილების მაგიერად რას დაამყარებდა. საყოველთაო საარჩევნო უფლება, ხალხის წარმომადგენელთა კრება, სიტყვის, პრესისი და სხვ. თავისუფლება მხოლოდ საშუალებაა, ეს უფლებები თავის თავად ხალხს ვერავითარ კეთილდღეობას ვერ მოუპოვებენ; წარმომადგენელთა არჩევით ხალხი მხოლოდ მონაწილეობს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში და თავის სურვილზე სწყვეტავ სხვა და სხვა სოციალ პოლიტიკურ საკითხებს. და სწორედ ამ საკითხების შესახებ გარკვეული შეხედულება აკლდა ხალხის დიდ უმეტესობას

ამნაირ პირობებში საკვირველი არ არის, რომ კერძო საკუთრების მოწინააღმდეგე პარტიებს მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიული ელემენტებიც, რომ გლეხობა სოციალ-დემოკრატიზმად, რომ ვაჭრების პროკლ მაციკებში ეწერა „პროლეტარიატს გაუმარჯოს“, რომ ჩვენებური აუგილ-მამულიანებიც თავის თავს პროლეტარებს ეძახდნენ და აძაგებდნენ ბურჟუებს...

ახლა ასეთი მდგომარეობა თან და თან ისპობა. ხალხს დრო ჰქონდა ჩაკვირებოდა თავის მდგომარეობას, გაეცნო სხვა და სხვა პარტიის მიზანი, და ამას შედეგათ მოჰყვა ახალ საპოლიტიკო პარტიების შექმნა რუსეთში. ამ პარტიების ნაირ ნაირი პროგრამა გამოხატავს იმ ინტერესთა ნაირ-ნაირობას, რომელიც ხალხს სხვა და სხვა კლასებად ჰყოფს.

ამ პარტიებს ერთმანეთში საერო ერთი რამე აქვთ. ყველა გადაჭრით აცხადებს, რომ ახლანდელი, დღევანდელი მდგომარეობა აუტანელია, და რომ ხალხის ცხოვრება რამე გარკვეულ კალაპოტში უნდა იქმნეს ჩაყნებულ მაგრამ საამისოდ სხვა და სხვა პარტიას სხვა და სხვა გზა და საშუალება აქვს ამორჩეული.

ზოგიერთები ხნას ისევ წარსულში ეძებენ. მათის აზრით სარევოლუციო მოძრაობა ხალხის დამღუბველი შეიქმნა, რადგანაც მან შეუძლებელი გახადა ხალხის ბუნებრივი განვითარება ამიტომ რამე საშუალებით უნდა „დამშვიდდეს“ ხალხი, აღდგენილ უნდა იქმნეს უწინდელი წესები, ამ წესებში ზოგიერთი თვალსაჩინო ნაკლი უნდა მოისპოს, თვით სახელმწიფოს ცხოვრებას კი ისევ უწინდელი მიმართულება უნდა მიეცეს. ცენტრალისტური მთავრობა უნდა ცდილობდეს საერთაშორისო ძლიერების მოპოვებას, ამისთვის მის ყოველთვის უნდა ჰყვდეს ძლიერი ჯარი ხმელეთსა და ზღვაზედაც, საჭიროა ახალ ტერიტორიის შექმნა, მთავრობის გაღონიერება, რომ სახელმწიფოში მცხოვრებ ყველა ეროვნებაში მალე მოისპოს ყოველივე სხვა და სხვაობა და რუსეთში მხოლოდ ერთი ეროვნება იყოს დასახლებული. ამ მიზნის მისაღწევად, ამბობენ ესენი, არავითარი საშუალება არ უნდა დაიშუროს აღამიანმა და ყოველი შეგნებული მოქალაქე ვალდებულია შეძლების დაგვარ ხელი შეუწყოს მთავრობას, რომელიც „ურჩ მოქალაქეთა დასამშვიდებლად“ ძალა-უნებურად მიმართავს იარაღს. ჯარი, პოლიცია, ცენზურა, ბიუროკრატიული თვითნებობა, თვით ეკლესიაც, — ყველა საერთოდ უნდა მოქმედებდეს ძველ

წყობილემ-ს აღსადგენად, — და მშვიდობიანის გზით მისი აღდგენა თუ შეუძლებელი შეიქმნა, მთავრობა და მისი ხელქვეითები, სახელმწიფო ძლიერების გადასარჩენად, არ უნდა შეუშინდნენ ზედ მეტ სისასტიკესაც. ხალხის „გონიერმა“ ნაწილმაც თავის მხრივ უნდა ძალით ჩააქროს ხალხში ყოველივე სარეგულუციო სურვილი, მთავრობის საქმესაც აღმოუჩინოს დახმარება, გვერდში ამოუდგეს დამსჯელ რაზმებს, შეადგინოს თავისი რაზმები...

ცხოვრებაში ამნაირად მქადაგებელთა სიტყვას უნაყოფოდ არ ჩაუვლია, ახლანდელ საერთო უფლებების დროს მთავრობამ მაინც შესაძლოდ სენა ხარჯის მომატება პოლიციაზე და იმ ჯარებზე, რომელიც ხალხის დასამორჩილებლად იგზავნება რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში. სდგება შვი რ.ზმები; ესენი თავიანთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ ჰკლავენ, სცარცვავენ, ანადგურებენ... მთავრობა ტერორს დაადგა. 1905 წლის განმავლობაში მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ოფიციალურ სტატისტიკით შემდეგი იყო.

მოკლული.	დაჭრილი.	სულ.
პეტერბ. ოლქი 982	1461	2443
მოსკოვის 2483	3310	5793
ვოლგის მხარეს 2054	2633	5793
კავკასია 2855	3911	6766
ბალტიის მხარე 1977	906	2883
ციმბირი 1208	1607	2815
ნოვო ოს. მხარე 1148	1568	2716
ხარკოვის მხარე 875	1117	1992
კიევის ოლქი 388	534	922
ვარშავის 369	506	875
დონის მხარე 294	436	730
სულ 14,654	18,052	32,706

1906 წელს ხომ კიდევ ამაზე მეტი სისხლის ღვრა იყო... საშუალო საუკუნეებშიაც იშვიათად შეგვხვდებოდა ის სისასტიკე, რომელსაც იჩენდა სხვა და სხვა დამსჯელ რაზმების მეთაურ ბალტიის მხარეში, კავკასიაში, ციმბირში, მოსკოვში და რუსეთის სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში. მინი, რიზანი, რენენკამპფი, ორლოვი, მელლერ-ზაკომელსკი და სხვები თავიანთ სისასტიკით და სიმხეცით უკვდავი შექმნენ. მიუხედავად ამას კიდევ ათი ათასობით ხალხის დატუსაღება და დინახავთ, რომ ძველ წყობილების აღსადგენად მთავრობა და ბიუროკრატია არავითარ საშუალებას არ ზოგავს და არ ერიდება.

მათ სხვა ნაირად საქმის წაყვანა არც შეუძლიანთ. მათ ერთი იმედილა დარჩენათ, — უნდა გასრისონ, სრულებით მოსპონ განმათავისუფლებელ მოძრაობის უბრალო ხსენებაც კი, რომ შემდეგ დამარცხებულ ხალხში ისევ თავის ნებაზე განაგრძონ რუსეთის კეთილდღეობაზე „ზრუნვა“. წარსულის მოტრფიალენი დღესაც არ იშლიან ამ „ზრუნვას“, თუმცა არავისათვის დამალული არ არის, რომ სწორედ ამ „ზრუნვამ“ რუსეთი ახლანდელ გაქირვებაში ჩააგდო.

სწორედ ამიტომ სხეები საცხებით უარპყოფენ წარსულს და ხსნას მომავალში ელიან. ხალხის საკეთილდღეოდ მათ აუცილებლად მიაჩნიათ სახელმწიფო წესწყობილების „ძირიანად“ შეცვლა. რაც უფრო მალე დამყარდება ახალი წესები, — მით უფრო ბედნიერი იქნება ხალხი. მოკლე ხანში, სულ რამოდენიმე თვის განმავლობაში ჰპირდებოდნენ ესენი ხალხს რე-

ვოლუციის დასრულებას, და ძველის ნანგრევებზე ახალ სახელმწიფო შენობის აგებას.

არსად მთელ ევროპაში ხალხი ისეთ აუტანელ პირობებში არ ცხოვრობს, როგორც რუსეთში. პოლიტიკურ უუფლებობას აქ თან ახლავს ხალხის უზომო ეკონომიური დაჩაგრვა. რუსეთში მომქმედი სარეგულუციო პარტიებიც თავის მოქმედებაში მხოლოდ ხალხის პ-ლიტიკურ განთავისუფლებას არ კმარობდნენ და მიზნად ისახავდნენ ეკონომიურ დაჩაგრვის მოსპობასაც. ამ მიზნის მისაღწევად, სოციალდემოკრატების აზრით, საქირო იყო პროლეტარიატისაგან სახელმწიფო უფლების ხელში ჩაგდება, საქირო იყო პროლეტარიატის დიქტატურა. ამის მიღწევა კი მშვიდობიანის გზით არ შეიძლებოდა და რუსეთში მომქმედი სოციალისტური პარტიებიც შეიარაღებულ აჯანყების და ტერორის გზას დაადგინენ. ამ მხრივ ძალადობის შემოღება მათთვის აუცილებელი იყო, ვინაიდან უამისოდ ამ პარტიების ქადაგებას უსიდაგო ოცნების ხასიათი მიეცემოდა.

მაგრამ შეიარაღებული აჯანყება არც ისეთი ადვილი მოსახერხებელი გამოდგა, როგორც პარტიის მეთაურებს ეგონათ. პროლეტარიატის დიქტატურამ ხომ სულ ძირს დასცა განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ დიქტატურამ „ახალ თვითპრობელლობის“ ხასიათი მიიღო და ხალხის ის ელემენტები, რომლებიც შეგნებულად ებრძოდნენ შეგვების ბიუროკრატულ თვითპრობელლობას, ვერას გზით ვერ შეურიგდებოდნენ იმ წესებს, რომელიც თან მოსდევდა პროლეტარიატის გაბატონებას, ვინაიდან ამ გაბატონებას იგივე ხასიათი დაეტყო, რომელმაც ბიუროკრატის თვითპრობელობა ყველასათვის საზარელი გახადა. გარკვეულ პრაქტიკულ პროგრამების უქონლობამ პოლიტიკურად მოუშადადებელი ხალხი სარეგულიციო ფერხულში დიდი ხნით ვერ ჩაითრია. ცხოვრებამ ნათლად დაგვიჩვენა, რომ საქმარისი პოლიტიკური სიბრძნე და წინდახედულობა აკლდათ იმათ, ვინც დღემდის ჩემულობდა განმათავისუფლებელ მოძრაობის მეთაურობას კომპრომისების, შეთანხმების და სხვა ოპოზიონურ ელემენტებთან შეკავშირების უარისყოფით მათ შესუსტეს ოპოზიციის ძალა და ძველ წყობილების მომხრეებს ხელახლად გაბატონება გაუადვილეს. მათ ვერ შეიგნეს ხალხში არსებულ საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობა და ისეთ წყობილების შემოღებას ცდილობდნენ, რომელიც ამ ურთიერთობას არ გამოხატავდა. ამიტომ, როგორც ძველის მოტრფიალეთა ძალმობრეობა ხალხში განმათავისუფლებელ მისწრაფებას ვერ მოსპობს, ისე ახალის მძებნელთა ტერორი და აჯანყება ვერ შემოიღებს იმ წყობილებას, რომელიც დღეს დღეობით მხოლოდ ხალხის უმკირესობისთვის სასიამოვნოა და უმეტესობის ძირითად ეკონომიურ და კულტურულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს.

ხალხი მას მისდევს, ვინც ხალხისთვის მოქმედობს. ეს კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის უკანასკნელმა საარჩევნო გამარჯვებამ ნათლად დაუმტკიცა იმათ, ვინც არჩევნების დროს განზე გადგამით, არჩევნების ბოიკოტით, ცდილობ ა რუსეთში განმათავისუფლებელ მოძრაობის გაძლიერებას. ბოიკოტის მომხრეებს ხალხმა ზურგი შეუქცია და ამით დაამტკიცა, რომ მას რეალური პოლიტიკა უფრო სასურველი ჰგონია, ვიდრე იდეალისტური ბრძოლა მეოცნებეთა მეთაურობით.

არჩევნებში მონაწილეობის მიღებამ ხალხს აუცილებლად გაუხადა სხვა და სხვა საპარტიო პროგრამების გარკვევა. სანამ

პოლიტიკურ პარტიებს მიზნად ჰქონდათ მხოლოდ თვითპრობლელობის მოსპობა და საყოველთაო საარჩევნო უფლებების მიღება, პარტიულ პროგრამას ხალხის თვალში დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ, როდესაც ხალხს უნდა აერჩია წარმომადგენელი, რომელიც იკისრება სახელმწიფოს მართვა გამგეობაში მის მაგიერობას, პროგრამის გაურკვეველად ამ თუ იმ პარტიის მიკედლება შეუძლებელი გახდა.

ხალხი რუსეთში არჩევნების დროს სოციალისტურ პარტიებს არ მიეკედლა, არჩევნების დროს ხმის უმეტესობა ერგო პოლიტიკურ დემოკრატას, რომელმაც ბრწყინვალედ გაიმარჯვა თვით პეტერბურგსა და მოსკოვში, რომელიც თავის პრაქტიკულ მოქმედების პროგრამაში მეთარსებენ. ე. ი. თანამოაზრე პარტიებთან შეკავშირებას არ უარ ჰყოფს და თანახმაა, მათთან კომპრომისის საშუალებით, ძლიერი ოპოზიციის შექმნის მთავრობის და ძველ წყობილების მომხრეთა დასამარცხებლად. პოლიტიკური დემოკრატია, რომელიც დღეს იმ მიზანს ემსახურება, რომლის მიღწევა ახლობელ მომავალშია შესაძლო, ხალხს უახლოვებს იმ ხანას, როდესაც სახალხო საკმეების გამგე თვით ხალხი იქმნება და არა თვითპყრობელი ბიუროკრატია, ან პარტიის თვითპყრობელი მეთაურები.

ზოგიერთს ჰგონია, რომ მხოლოდ ის პოლიტიკური პარტია არის მოსაწონი, რომელიც თავის მოთხოვნილებითუფრო რადიკალურად ეკიდება საკმეს, უფრო დიდ ცვლილებების შემოღებას ცდილობს და უფრო შეურიგებლად ექცევა ყველას, ვინც მის პროგრამას საფეხით არ ეთანხმება. მოწინააღმდეგეებთან უთანხმობით მათ პარტიულ სისუსტედ მიიჩნიათ, „შესაძლებელ“ მიზნების დასახევის იგინი ოპორტიუნისთვის სახელით წაილაყენ. მათ აეწყდებოდათ, რომ არ შეიძლება ადამიანმა თავის ნებაზე შესცვალოს ერთბაშად ის საზოგადოებრივი ძალები, რომელიც სახელმწიფოში მოქმედებს და რომელთა ერთიერთობის გამომხატველია თვით სახელმწიფოს წესწყობილება. პოლიტიკური პარტია მხოლოდ ხელს უწყობს არსებულ საზოგადოებრივ ძალთა გამომჟღავნებას და შეთანხმებას; პოლიტიკური პარტია ის მოქმედი ძალაა, რომელმაც ყოველ წამს უნდა განახორციელოს, შეძლების დაგეარად, ხალხში მომწიფებული სურვალი. ის პარტია, რომელიც ამ საკმეს გვერდს აუხვევს და მუდამ შორეულ იდეალებზე ოცნებით ხალხის დაკმაყოფილებას ეცდება, მალე ყოველივე გავლენას დაჰკარგავს და ყოველივე რეალურ მნიშვნელობას მოკლებულ მეოცნებეთა ჯგუფად გადაიქცევა.

შესაძლებლისათვის ბრძოლა პარტიის მოვალეობას შეადგენს.

ამ გზას ადგია ყოველი პოლიტიკური პარტია საზღვარ გარეთის ყველა სახელმწიფოში, სადაც საზოგადო ცხოვრება გარკვეულ კალაპოტშია ჩაყენებული.

არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც მიზნად დასახული აქვს ხალხის კეთილდღეობა, საკმის დროს სხვა, პრინციპებით მჭობელ, პარტიებთან შეკავშირებაზე უარს არ იტყვის. შორეულ იდეალებზე რომ არ ვილაპარაკოთ, დღეს ყველა კლასის წარმომადგენელი ცხოვრობს სახელმწიფოში და ყველას თანასწორი უფლება აქვს ისარკებლოს სახელმწიფოს არსებობით, თანასწორი მონაწილეობა ჰქონდეს მართვა-გამგეობაში.

როგორც არ ვნახავთ შოვინისტობა, რომელიც მხოლოდ თავის ეროვნებაზე ზრუნვას მოითხოვს ადამიანისაგან, ისე არ ვარგა პარტიული ცალმხრივობა, რომელიც პარტიის წევრს

მხოლოდ თავის პარტიის შესახებ მოქმედებას ავალბებს. როგორც მინებელი და საძრახისია შოვინისტი, რომელიც ამბობს, ჩემ ეროვნების ზატონობას უნდა დავუმორჩილო ყველა სხვა ეროვნება, რომელიც „სხვებს“ მტრულის თვლით უცქერის და შეუძლებლად ხდის მათ ნ ერთად მშვიდობიან ცხოვრებას და მოქმედებას იმავე სახელმწიფოს საზღვრებში, ისე საძაველია პარტია, რომელიც ყველა სხვა პარტიის წევრს მოსისხლე მტრად ისახავს და უარს აცხადებს მასთან ერთად ყოველგვარ მოქმედებაზე სახელმწიფოში.

შოვინისტობა ხალხს თავისთვის მინებლად მიიჩნია და აგრეთვე მინებელია მისთვის პარტიული სივიწროვე და შეურიგებლობა.

მართალია, ზოგიერთ პარტიის მეთაურები ამაზე განგაშს ასტეხენ, ეწყინებოთ, რომ ადამიანმა ისინი შეადარა შოვინისტებს, მაგრამ ეს განგაში ეხლა არ გასკრის, რადგანც ხალხს მოჰპყრდა მუდმივი „აპკუნობა“,— მით უფრო ისეთ პირებისაგან, რომელნიც ხალხის საერთო ინტერესების გაძლიერებას ვერ ახერხებენ. მათ ან ხელი უნდა აიღონ ვიწრო პარტიულ მოქმედებაზე, ან უნდა დაჰკარგონ ის მნიშვნელობა, რომელიც მათ ჰქონდათ, როგორც განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეთა. საზოგადოება, ხალხი კი არ იქცევა ისე, როგორც ეს პარტიის მეთაურებს სურთ,— პირიქით თვით, პარტია და მისი მეთაურები იძულებული არიან თავიანთი მოქმედება ხალხის სურვილებს დაუმორჩილონ.

და რომ ეს მართლაც ასე მოხდება და „დიქტატურობაზე“ ან „ახალ თვითპყრობელობაზე“ ოცნებას აწი ველარ მოახერხებს ვერაინ, ამის თვდებია ხალხის თან და თანი გამოფიხილვა, რომელიც თან მოჰყვება ამ „დიქტატორების“ მოქმედებას და ძველ წყობილებების მომხრეთა ძალმომრეობას.

კ. ს.

ი მ ე რ ი ა თ უ ი.

„სწობის ფურცელმა“ ტფილისის გენერალ გუბერნატორის საპასუხო „დაურღვეველ საბუთებში“ გამოსთქვა, რომ ის ამბები, ის საბუთები, რომელიც აქ მოგვყავს, აზრდილია იმისი, რაც ნ. მდვილად ხდება ქართლსა და დასავლეთ საქართველოში. და, მართლაც, აღნიშნულს წერილში აღწუსებული იყო მეთასვლი ამ ორი თუ სამი თვის განმავლობაში მომხდარ ამბებისა. განა ბევრს რას ეუბნება მკითხველს ასე დაწერილი ამბავი: აქა და აქ ყახახები მოვიდნენ, ამასა და ამას სახლი დაეწვა, ან ესა და ეს კაცი აწამეს, ქალი გააუპატურეს და სხვა. რომ სრულად წარმოვიდგინოთ, თუ როგორს ჯოჯოხეთურ ცეცხლის აღში ტრიალებს, რამდენ დაჰკირებას, ზნეობრივად, ქონებრივად და ფიზიკურადც ფეხ ქვეშ გათელვას ითმენს უდანაშაულო ხალხი და როგორს უსაზღვრო ბარბაროსობამდე მიდის მოქმედება საპოლიციო დარაჯებისა, ყახახებისა და სხვ.,—საჭიროა თითოულ ფაქტს ფარდა აეხადოს და მთელის თვისის საშინელებით მკითხველს წარედვინოს.

შემთხვევა მომეცა შორაპნის მახრაში რამოდენიმე დღით გამაზვარებისა. რაც ამ ხნის განმავლობაში ვნახე, რაც თავს გადამხდა, რაც გავიგონე, ყოველივე ეს საშინელებაა. ხალხს ქირისუფალი, ქომაგი, მოსარჩლე არ უჩანს და ვისაც ქეიფი მოუვლის, მასზე ნაყარდობს, მასზე თარეშობს! ხალხიც ქედ მოდრეკით, თითქო დანაშავე იყოს, ითმენს ყველაფერს.

გათენებისას მატარებელი სადგურ ბელაგორს მიუახლოვდა. გადამწვარი სოფელი არ მენახა და ფანჯარაზე მივდექ. სოფელი დღესაც იმავე მდგომარეობაშია, როგორც ამ ორი თვის წინად. მცხოვრებთ არც კი მიუხედავიათ თავიანთ გადამწვარ საცხოვრებლისათვის. ან კი რაა, რომ მიხედონ? მთელი საცხოვრებელი ისე გადასწვიათ, რომ გროშის საფასური არა დარჩენიათ რა, და რა სახსრით, რა საშუალებით შეუძლიანთ ცოტათი მაინც გამოაბრუნონ განადგურებული სახლ-კარობა და კარ-მიღამო.

ძირულას სადგურზე მატარებელში ჩემი ნაცნობი შემოვიდა, რომელმაც გადმოცა სოფ. წვევაში 16 მარტს ღამით გრიშა (გრიგოლ) გაჩეჩილაძის მოკვლის ამბავი. საპოლიციო დარაჯთა ურიადნიეს კოლა ნემსაძეს გაუგია, რომ წითელ რაზმის მეთაური აფრასიონ მერკვილაძე ვითომ სოფ. წვევაში იპალებოდა. წაუყვანია დარაჯები და ღამის 2 საათზე თავს დასცემიან სოფლის ერთს გლეხს, გვარად ქანკატაძეს. გაჩეჩილაძეზე ეკევი მიუტანიათ, რომ იგი წითელ რაზმში იყო წვევრად, და შესდგომიან მის ძებნას. გაჩეჩილაძეს ამ სოფლის ერთს კლდეში ჰქონია თავი შეფარებული. ნემსაძის დაძახილზე გრიშა გაჩეჩილაძე გამოსულა საფარიდან. დარაჯებს მოვარიან ღამეში კარგად შეუმჩნევიათ და თუმცა უნახავთ, რომ მათ იარაღით წინააღმდეგობას არავინ უწყევდა, მაინც დაუხვლიათ თოფები და გაჩეჩილაძე დაცემულა ძირს, სულთმოპოვად აღამიანისთვის ამ ვაუბატონებს ხმალიც დაუკრავთ თავში და გაუჩეხნათ. აქედან დარაჯებს და ყაზახს რუსებს სოფელ შროშაში აუვლიათ და, ვინ იცის რის გული-სათვის, მელუქნე შეველაზე ძალზე გაულახავთ. შემდეგ, თუ რამე ხეირიანი მოუხელებიათ მალაზიაში, წაუღიათ და წაბრძანებულან.

შორაპნის სადგურზე ჩამოვხტი და აქ შევიტყვე, რომ სადგურზე შემთხვევით დამსწრეთ უნახავთ სოფელ ილეში-დგან ჩამოსული ერთი გლეხი, რომელსაც თავისი რძალი საეკიმოდ მიჰყავდა ქუთაისში. ქალს ლაპარაკის თავი არა ჰქონდა და ძლივს წყლით უბრუნებდენ გულს. 16 მარტს სოფელ ილეში მყოფი ყაზახები გამოსდგომიან ამ ქალს და მოუხდომებით მისი გაუპატურება. გამწარებული ქალი შეეღივით გადამხტარა ეზოდან და მდინარე ყვირილაში გადასავარდნად გაქანებულა. იღბლად ეს შეუნიშნავს ერთს აფიცერს, რომელსაც ყაზახები შეუჩერებია და ქალი წყალში დახრჩობისაგან გადაურჩენია.

ქიათურის სადგურზე გავიგე, რომ ხოპერის პოლკის ყაზახებს სოფელს სევრში სრულიად უმიზეზოდ, აფიცრის ისმაშინის მეთაურობითა და ქიათურის ბოქაულის თანაშემწის ილიკო წერეთლის თანადასწრებით, გადაუწვავთ ხუთი მოსახლის საცხოვრებელი. გადამწვარან 16 მარტს საღამოთი ზაქარია, მალხაზა, მიხეილ, შალიკო და ნიკო ცუსკირიძეები.

ამგვარ ხმელ ფაქტების გადმოცემით მკითხველი ვერ წარმოიდგენს მდგომარეობის მთელ საშინელებას. უნდა მოისმინოთ თვით დაზარალებულთა და წამებულთა ლაპარაკი, რომ საესებით იგრანოთ, თუ რაოდენ აუტანელ მდგომარეობაში არის ხალხი ჩავარდნილი.

ჯერ კიდევ შორაპნის სადგურიდან მატარებელი არ დაძრულიყო, ჩვენთან ვაგონში შეივოდა ერთი კარგი ჩემი ნაცნობი ხ. გ—ძე. ბ—ნი ხ—ი აჩრდილი დაა ნამდვალ ხ—სა, ისე გამოცვლილა. მისაღმების შემდეგ მან ასეთი

მუსიადი გააბა ჩემთან: „განა ჩენი სიციცხლე სიციცხლეა? ბარემ რომ სიკვდილი ას წილ გვერჩია ამ ჩენის დასიცრებას. გადაწვა, დარბევა-გაცარცვა აღარ გვაქმარეს. იქაჲდის მივიდნენ ჩენი სულთამბუთენი, რომ ჩენი წმინდათა წმინდა შეგვიგინეს, სახლები გავგვიპატურეს, დებს და ცოლებს ნამუსი აგვიხადეს. ყოველივე ეს მით უფრო ჯოჯოხეთური სატანჯველია ჩვენთვის, რომ შეძლება არ გვაქეს უპარლო პროტესტი გამოეუცხადოთ მოთარეშეთ .. ასე ნაშუადღევს 1 საათი იქმნებოდა, — განაგრძო ხ. გ—ძემ, როცა მე ვთხოვე ეამბნა ჩემთვის ნისი სახლის დარბევის ამბავი, — რომ ჩემი ძმის სახლიდან ჩემს სახლში დაებრუნდი. როცა მიეუახლოვდი ჩემ სახლ-კარობას, შევნიშნე, რომ ჩვენსკენ 7 ყაზახი რუსი მიეშურებოდა. ორმა თოფები გადოილო და მოგვიღერეს მე და მ-ძეს: შეჩერდითო, ხოლო 5 ჩემი სახლისაკენ წავიდა. შეგვეშინდა, თოფი არ გვესროლონო და შეჩერდითო. როცა მონადირენი მოგვიახლოვდნენ, დაგვძახეს და ცინვის კილოთი: „დალოი სამოდერგავიეო.“ მე დამტყვეული რუსულით ვუპასუხე: „არა, ნე დალოი, ზაჩემ დალოი“ მეთქი. გააგზირეს და ჯიბიდან ოქროს საათი და რაც ფულა გექონდა ამოგვაცალეს. ვიფოქე, კარგა დღე არ დამადგებოდა, მაგრამ გავხედე მაინც შესვლა ჩემს სხლში, სადაც უკვე შესულიყვნენ წესიერების დამცველნი და ერთი ოთახიდან მეორე ოთახში დათარეშობდნენ. ერთმა მეორს უთხრა ჩემზე, მოკლათო. მე შიშის ზარმა ამიტნა და შევევედრე: ნუ მომკლეთ, 7 წვილ შვილის პატრონი ვარ; ჩემს მეტი პატრონი და მარჩენელი არა ჰყავთ მეოქი. ერთმა მათგანმა ხანჯალი ამოიღო, ყელში წვერით მომაქირა და შემომძაძა: შენ იარაღი გექნება და უნდა მოგვეყო. მე შეეფოცე, არაფერი არ მა ვს ნეთქი და წინადადება მივეცა, გაეჩხრკათ სახლი. იქვე, ერთ ოთახის კარებთან, სიმინდის ფეკლით საესე ტომარა იდგა. ყაზახმა ფეხი წაჰკრა, დაახნო და სთქვა: ეტო ტოლკო სენი ელიატო. შეუდგნენ ჩხრეკას, ყოველივე კუთხე გადმოატრიალეს. წაიღეს 100 მან. ღირებულის ხალიჩა, ჩემი ჩოხები, ახალ-ზევა, ჩემი მეუღლის კაბები, ჩემი საცვლები, ვერცხლეულობა, სულ რაც ნახეს, ფეხზე კალოშები გამხადეს, ტანზე მოკლე „ტუტუტუკა“ მქონდა, ისიც გამაძერეს. შევეხვეწე, ასე პერანგის ამარა ნუ დაპტოვებთ, სიცივეა მეოქი, და ბოლოს ეს ჩასაცნელი გადმოვიადგეს. სახლის 13 ფანჯარა ჩამატვირეს, ქუქუღეულობა მიიღიწე-მიიღიწეს და წავიდნენ. შევნიშნე რამდენიმე მათგანს ხელში რაღაც ქურქლები. ვიფოქრომ, ცეცხლის მოსაკიდებელთა რამე ნივთიერება უნდა ყოფილიყო. წასვლის დროს შევეკითხნენ: შენი ცოლი სად არისო. მე ვუთხარი ცოლი უკვე მომკვდა, ხოლო ბავშვები ნათესაებში მყავს გაპარებული მეთქი. როგორცქმნა, მოვიშორე თავიდგან ისე, რომ ცეცხლი აღარ მომიკიდეს და აღარ გადამიწვეს. გაფხეკალი სახლის კარები გაპოვიკიტე და გავეშურე გაღმა მთაში, სადაც ჩემი სახლობა ისიღორე აბრამიშვილიან მყავდა შეფარებული. სოფელს კალვითაში უკვე ძლიერი ცეცხლის ალი ამოვარდა. შედამდა კიდევ. ვილაცამ სოფელში დაიძაბა: „მოლიანო“ (ეს სიტყვა მთელს დასავლეთ საქართველოში თავზარ დამცემი სიტყვაა. კმარა დაიძაბოთ: „მოლიანო“ და — მაშინვე ქალი, კაცი, დიდი და პატარა წვივლ კვილით მთებში გაზბის) მაშინვე მთელი სოფელი აიყარა. მიუხედავად ძლიერი ქარისა, თოვლ-ქაპისა და სიცივისა, ბაჯითის ღელისაკენ დავეშვიო. სამოცამდე ქალი და იმდენივე მამაკაცები ვიყავით.

თან ასამდე ბავშვი გვყავდა. ბავშვების ღრიალი და ქალების წივილ-კივილი ერთი რაღაც ჯოჯოხეთი იყო ჩვენ — კაცებისთვის, — მაგრამ რას ვიზამდით. ვკვალავდით მუხლამდე დაყრილ თოვლს და მივიდიოდით ხევში გადასამალავად. ერთს აბრაშიშვილს ურმიდან ბავშვი გადმოვიარდნოდა და გზაში დაჰკარგოდა. უკვე კარგა მანძილი გავიარეთ და მეორე გავიგეთ, რომ ერთი ბავშვი გვაკლდა. მის დედის თმის გლეჯას და მოთქმას საზღვარი აღარ ჰქონდა. ის იყო, დავაპირეთ რამდენიმე კაცმა ბავშვის მოსაძებნად წასვლა, რომ მოგვეწია ისიღარე აბრაშიშვილი, რომელსაც გზაში ენახა მთლად სიცივისაგან გალურჯებული და შიშისაგან აცახცახებული ბავშვი და მოჰყავდა. ერთ მოფარებულ ადგილზე ვავტყვენით თოვლი და დავლაგდით ამოდენა ხალხი, სიცივისაგან აკანკალებულნი. გავიდა კარგა ხანი. ძალღებმა ყფა შექნეს. კიდევ დაიძახეს: „მოდინო“, და ჩვენ კიდევ ავიშალენით და შორს ღრმა ლეღეში ჩავიმალენით...“

მრავალი ასეთი საშინელი ამბები გადმომცეს სხვებმაც საუბრის დროს, ვიდრე უკანასკნელ სადგურამდე მივალწვედით.

სოფელ არგვეთის მცხოვრებს როსტომ იაშვილს თუმცა არავითარი დანაშაული არ მიუძღვოდა, ისე როგორც მრავალ სხვას, მაგრამ მისი საცხოვრებელი გადასწვეს მიტომ, რომ მან სამი დღის განმავლობაში არ დაიჭირა და არ წარუდგინა მთავრობას თავისი ძმა ლადო იაშვილი, რაც, რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო. „ორჯერ ამიქოთეს და დამიწიოეს ოჯახობა, — გადმომცა როსტომ იაშვილმა. — ჯერ 20 თებერვალს ღამით შემოარტყეს ალყა ჩემს სახლს და გაჩხრიკეს. ნაშუალამევის 2 საათი იქმნებოდა, — ბოქაულმა ალხაზიშვილმა გამომიღვიძა: აფიცერი მოვიდა ყაზახებით, ადექი ჩქარაო. როცა გავედი, ყაზახების უფროსმა მკითხა: შენი ძმა სად არისო; არ ვიცი მეთქი, ვუთხარი. თუ არ იცი, ეხლავ დაგხერტო, დამემუქრა და ყაზახებს უბრძანა, გაეჩხრიკათ სახლი. საწოლ ოთახში თავზარდაცემულ და აწივლებულ ბავშვებისა და მეუღლის მფარველობა ბოქაულმა ალხაზიშვილმა იკისრა, ხოლო ჩემებართ მე უკან გამიყოლეს და შეუდგნენ ჩხრეკას. რაღა ვეღარსად ვერ იპოვნეს, ვისაც ეძებდნენ, მიჰყვეს ხელი ავეჯეულობას და წაიღეს, რაც მოახელეს. თავლაში ბიქს სოლომონ ბუსხრიზაძეს ჯიბეები მოაქრეს, ფული გექნებოა. ყაზახებმა გახვიეს ოთხი საწოლი ლეიბი, ოთხი საბანი, 8 ბალიში, ჩოხა, ახალუხები და სხვა ამგვარი ნივთები და გაემგზავრნენ საჩხერისაკენ. უფროსმა მითხრა, სამი დღის ვადას გაძლეე, თუ ამ ხნის განმავლობაში შენი ძმა დაქერილი არ წარმოგიდგენია, მოვალთ და სულ გავანადგურებთო. მართლაც, 24 თებერვალს დილის 10 საათზედ მოვიდნენ. ჩემმა მეუღლემ ძუძუ მწოვარა ბავშვით ძლივს გაასწრო სახლიდან. 16 ყაზახს ხოპერის პოლკისას მეთაურობდა ხორუნი ლაზინსკი. ყაზახები ახლა კიდევ შეესივნენ სახლს და რაც იპოვნეს, გამოიტანეს. მარტო ვიყავი და ველარაფერი ვერ მოვახერხე. გაესძახე მეზობლებს და ვერაფერ ვერ გაბედა მოშველება. მოვიდა მხოლოდ დათა მაქავარიანი. ქვევით ერთს ყანაში 20 კაცმა შეიყარა თავი. დათა გავგზავნე და შევეხვეწე: მომეშველეთ, ეგებ რამე ნაირად თავიდა მოვიშორა ყაზახები და სახლ-კარი არ გადამიწვან მეთქი, მაგრამ ვერაფერ ვერ მოხხედა. ამ დროს, რაც იყო მოსატაცებელი, წაიღეს ყაზახებმა და შეუდგნენ სახლზე ცეცხლის მოკიდებას. ცეცხლი გაუჩინეს სამზარეულოს, მარანს, სასიბინდეს და ბედელს, ხოლო სახლს ვერა მოუხერხეს რა, რადგანაც კედლები ქვითკირის იყო. მიავნეს ჩემი

ნავთის საკურკლეს, 10 გირვანქა ნავთი დაახსეს და გადასწვეს ყველაფერი. ბევრი შრომისაგან დაქანცულ ყაზახებს სადლი მოუწნდათ და ღვინო მომთხოვეს. ვიფიქრე. ეგებ სხვა აღარაფერი არ გადამიწვან მეთქი, და ვუჩვენე, სადაც მქონდა ღვინო. ყაზახებმა სოფლიდან მოიტანეს ჰურები, ამოიღეს ჩემი ღვინო, 200 კვრ-ცხი გათქვიფეს ჭვავში, ხუთი თუ ექვსი ქათამი საჩქაროდ ვაბდღენეს და ერთად ჩაუშვეს. ამ ნაირად შეამზადეს სადლი და შეუდგნენ ქეიფს. მალე დასძახეს „ენიზ პო მატუშეე პო ვოლგე“. კარგა ხანს ქეიფის შემდეგ წამოიშალა რამდენიმე ყაზახი და მივიდნენ 400 მან. ღორებულ თავლასთან ცეცხლის მოსაკიდებლად. ყაზახებს შევეხვეწე: ეს ერთი შენობა მაინც გადაიჩინეთ თავშესაფარებლად მეთქი. „ეს კონსტანტინ პეტროვიჩის საქმეა და იმას სთხოვეო“, მითხრეს. მივედი აფიცერ ლაზინსკისთან, რომელიც ჩამჯდარიყო ყაზახებში და ღვინოს შეეცეოდა, წვერზე ხელი მოვკიდე და დავეღრიჯე: მიქენი იმოდენა სიკეთე, ამ ერთად ერთს შენობას მაინც ნუ დამიწვავთ მეთქი; აი დავიჩოქებ და ისე შეგთხოვ მეთქი. ლაზინსკიმ მათრახი აიშვირა და მითხრა: გამათრახებმა ხომ არ მოგინდაო. მივხედი, რომ ტყუილად თავს ვიპირობდი, ავდექი და გაშვებულნი თავლაში 100 მან. მეტის თივა მქონდა. იქ აღვილად მოუკიდეს მუგუზლით ცეცხლი და ავარდა ალი. იქვე ბოსტანში მუხის ფიცრები ვეწყო ერთის ოთახის სამყოფი. გაარღვიეს ბოსტანის ღობე, გამოიტანეს ფიცარი და იმასაც ცეცხლი მოუკიდეს. ცეცხლ მოუკიდებელი ვადარჩა საბჭელი. ამ დროს მოვიდნენ მიხეილ და მღ. გრ. მაქავარიანები. მიხეილმა შორიდან დაუძახა აფიცერს: ნება მომეცი ახლოს მოვიდეო. როცა მოვიდა, მიხეილ მაქავარიანი აფიცერს შეხვეწე: ეს ერთი საბჭელი მაინც ვადაურჩინეთ ამ საწყალ უდანაშაულო ოჯახს თავშესაფარადო. ღვინით გაბრუებულმა აფიცერმა საპასუხოდ სტაქანით ღვინო მიაწოდა მიხეილ მაქავარიანს. ყაზახებმა კეიფით საბჭელსაც მოუკიდეს ცეცხლი და გადასწვეს. სოფელი ამ დროს თითქმის გაიხიზნა, ყაზახები სახლებს მოედგნენ და, საცა პატრონები არ შეხვდით, რაც მოახელეს, ყველაფერი წაიღეს. სეფე მაქავარიანის სახლიდან 70 მან. საღირალი წაიღეს, სალომე იაშვილის სახლიდან 50 მან. საღირალი ნივთები და სხვ. საღამოს მთვრალი კაზაკები აფიცრითურთ შესხდნენ ცხენებზე და დაბარგულნი სიმღერით წავიდნენ საჩხერისაკენ“, — დადათავრა. იაშვილმა. ყოველსავე სახსარს მოკლებული თავისი ოჯახობა ოთხი წვრილ შვილით როსტომს ერთ ქვრივ ქალის ქონში შეუფარებია. 10,000 მანეთად ღირებულ საცხოვრებლიდან იაშვილს ერთი სტოლის დანა გადურჩენია და მასაც ტარი შუამდე აქვს მიმწვარი.

როგორც სხვა კუთხეში, ისე საჩხერეს მიდამოშიაც სასტიკ რეპრესიას კარგი ნიდაგი შეუქმნია ჯაშუშებისთვის. სოფ. ღურევში, მაგალითად, იმათ დაუბეზდებიათ აღმინისტრაციასთან გლეხი მათე ხარშილაძე: ვადალი იაშვილს, რომლის გულისთვისაც სულ ერთიან გადასწვეს მისი ძმა როსტომ იაშვილი, — მათე ხარშილაძე ინახავს ერთ მიწაულულ ადგილასო. ერთ დღეს მათე ხარშილაძე მთაში წასულა იქიდან საქონლის საკვებ ჩალის მოსატანად. ბოროტი ენის პატრონებს ამბავი მიუტანიათ საჩხერეში: ლადო იაშვილი ფეხსა და ხელში დაქრილია, მათემ ურმით წაიყვანა და მთაში სადღაც გადამალოა; ჩქარა თუ არ გაჩხრიკეთ, მერე, შეიძლება, მის კვალსაც ვეღარ მიავნოთო. მართლაც, 26 თე-

ბერვალს ღამით ღურევეში გლეს ხარშილაძეს თავს დასცემიან დარაჯები და ყაზახები,—ვერ შევიტყვეთ კი, ვისი უფროსობით. აქ თვით წამებულ მათეს მოვუსმინოთ. „ნაშუადღევს ასე 2 საათი იქნებოდა,—მითხრა მან,—თავს დამეცნენ ყაზახ-რუსები და საპოლიციო დარაჯები, შემოამტკრიეს კარები, გადამკრეს მათხაი და მითხრეს: ეხლავე გვიჩვენე, სადა გყავს ლაღო იაშვილი დამალული, თორემ ცოცხალს არ გადაგარჩენთო. მე შევეფიცე, რომ არაფერი არ ვიცოდი, მაგრამ ჩემ ფიცს ყური აღარ ათხოვეს. ერთი ნაწილი დიშალა და შეუდგა სახლისა და კარ-მიდამოს ჩხრეკას, ხოლო სხვები მომდგნენ და დამიწყეს ტანჯვა. გამხადეს მთლად ტანისამოსი და შიშველ ტანზე დამიწყეს ცემა თუ მათახით, თუ თოფის კონდახით და, თუ ჯოხით. ჩემს ღრიალს და ცოლ-შვილის ყვირილს ორ ვერსზე გაიგონებდა კაცი, მაგრამ პატრონი არაფერს გამომიჩნდა გამომსარჩლებოდა. მთელი ტანი დამილილავეს მათრახითა და თოფის კონდახებით. შემდეგ წამოქციეს და რკინის ქუსლიან ჩექმებით მცემეს. ჯერ მცემდნენ დიდ ხანს და მერე მეკითხებოდნენ: გვეტყვი, თუ არაო. როცა ღონე მიხდელი შეგდრიალებდა: არ ვიცი, არაფერი არ გამიგია და როგორ გითხრაო მეთქი, კიდევ უფრო სასტიკად განაგრძობდნენ ცემას. ბოლოს, რადგან ვეღარაფერი გაიგეს, წამათრისე სახერხავ ხაჩაჩოსთან დასაკლავად. მთელს ტანზედ სისხლი მდიოდა, ფეხზე დგომის თავი აღარა მქონდა და რადგანაც ვერ გავიარე, გამათრისეს ძალივით. დამადებინეს თავი ხაჩაჩოს ხეზე და უკანასკნელად ხმალ ამოწვდილი ყაზახი შემეკითხა: გვეტყვი, თუ არა, სად არის, ვისაც ვეძებთო. მე კიდევ ერთი ამოვიხრიალე, არ ვიცი მეთქი. ის იყო, წამოვიდა ხმალი და თავი ქათამივით უნდა გაგდებინებინათ ჩემთვის, რომ ერთმა დარაჯმა ალექსიმ, ტომით ოსმა, რომლის გვარი არ ვიცი, ყაზახს ხელი აუკრა და მე სიკვდილს გადამარჩინა. ხაჩაჩოდან ღონე მიხდელი გადმოვარდი ძირს. ნავთის კრუჯკას თავი მოაძრო ერთმა ყაზახმა და, როგორც შემდეგ გადმოაცეს, უნდოდა ჩემ თმაზე ნავთი დაესხა და ცეცხლი წაეკიდებია. ცეცხლით დაწვისაგანაც ალექსი დარაჯმა გადამარჩინა. ჩემმა მტანჯველებმა ესეც არ მაქმარეს, სთქვა ბოლოს მათემ.—ჩემთან სტუმრად მყოფი 20 წლის ქალი მ. ხ-ძისა ყაზახებმა გამოიტანჯეს, ნაშუსი ახადეს, გამოუპატიურესო...“ საწყალი მათე დღესაც ძლივს აბრუნებს ენას და არ არის ტანზე მოჩენილი. სიარული ჯერაც არ შეუძლია.

აი კიდევ წამების ამბავი, რომელიც თვით წამებულმა გადმოცა და რომელსაც ამტკიცებს მისი დალილავებული მკლავები და ტანზე 40 მდე ქრილობა დროებით ზესტაფონში მსოფრებ არქიპო კალანდაძეზე (ასე 20 წლის ყმა-წვილია) ექვე მიუტანიათ, რაზემელი არისო. პირველად თუმცა დაუპატიმრებიათ, მაგრამ შემდეგ გაპართლებულა და თავისუფლების ბილეთიც მიუღია შორაპნის მაზრის უფროსის ხელმწიფრილი. მიუხედავად ამისა, ზესტაფონის საპოლიციო დარაჯებს მოქეიფებით მისი სიკვდილი და კვირას, 20 მარტს, თავს დასცემიან და უწამებიათ. კალანდაძეს მარჯვენა ხელზე სამ ალაგას აქვს ხორცი ამოგლეჯილი, მარცხენა ხელზე ცხრა ქრილობა აქვს, ხელები და მკლავები დასიებულა, ტანზე 27 ალაგას დაბეგვილი და დაქრილია, ორსავე ფეხზე ოთხ ადგილას ხანჯლის ჩანარქობი ატყვია, თავზეც ერთი ღრმა ქრილობა აქვს... „ნაშუადღევს 2 საათი იქნებოდა,—მითხრა კალანდაძემ,—თავს დამეცნენ ჩემს სახლში

ურიადნიც კოლა ნემსაძის მეთაურობით 15 დარაჯი. ვილაცას კერძო ინტერესით დავესმინე, ვითომც მე იარაღი მქონდა შენახული. გავუღე კარები, შემოვიდნენ, გადამკრეს მათხაი და იარაღი მომთხოვეს. რაც არ მქონდა, ამა რას მიეცემდი. თავისუფლების ბილეთიც ვუჩვენე. დარაჯებმა ბილეთი წამართვეს და დამიწყეს თოფის კონდახებით ცემა. პერანგის ამარა ვიყავი. ცემით რომ ვერა გააწყვეს რა, ერთმა რუსმა დარაჯმა უთხრა ამხანაგებს (რუსული მესმის): ჩაიყვანოთ ყვირილის პირზე, იქ დავკლათ და მერე მდინარეში გადავავლოთო. თავხარი დამეცა, არაფერს შემბრალებელი არ გამომიჩნდა; ჩემს ღრიალზე ჩემს მეზობლად მდგომნი მოვიდნენ, მაგრამ მათ დარაჯები თოფებით დაეშუქრნენ და უკანვე გააქციეს. რუსი ამხანაგის წინადადება დარაჯებმა მიიღეს და წამიყვანეს წყლის პირზე დასაკლავად მე ვუმატე ღრიალს და მოვიდომე გაძლიანება. რაღაი ნებით არ გავყევი, წამავლეს ხელი და ცემით ჩამათრისეს წყლის პირად. იქ ერთმა დარაჯმა, პლატონ ჟღენტი, უთხრა ამხანაგებს: არა, აქ წყლის პირად ნუ მოვკლავთ,—ქუჩაში ავიყვანოთ და იქ ჩავკლათო. ამხანაგები დაეთანხმნენ და ეხლა მალე წამოიყვანეს. იქ სერზე რომ ავიდოდით, შევნიშნე, რომ ჟღენტი და ერთი მისი ამხანაგე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს—არა მე მოვკლავ კალანდაძეს, არა მეო, და თოფები შეაყენეს. ერთმა დარაჯმა ურჩია ამხანაგებს: ჯერ წყალი დავალევირით და მერე მოვკლათო. დაღა უკანასკნელი წამი განსაცდელისა. ის იყო მითხრეს კიდევ, წავმდგარიყავ წინ რამდენისამე საყენის დაშორებით. ვიფიქრე, სიკვდილი მაინც არ ამცდება მეთქი და დავაპირე გაქცევა. თუცა ძალიან ვიყავი დათეთქილი, გარს შემოხეული ნიფხავ პერენგი მთლათ სისხლში იყო ამოსვრილი, ნელ-ნელა სისხლისაგან ვიცილებოდი, მაგრამ ძალა მოვიკრიბე და ორს ჩემს ახლო მდგომ დარაჯს, როგორც შევიძელი, ორივე ხელი ვკარი გულში. იმათ წაიბორწიეს და მე სამი საყენ კლდის სიმალიდგან ხევში ჩავეში დარაჯები გაიშალნენ და ალყა შემომარტყეს, მაგრამ ღამის სიბნელე გამოვიყენე, დავძვერი მტანჯველებს ხელიდან და ზეგნის მთაში შევაფრე თავი. იქ ორი დღე და ღამე ვეგდე მშვიერო...“ არქიპოს შემდეგ გამოუჩნდნენ გულშემატკივარი ამხანაგები და დახმარება აღმოუჩინეს.

მკითხველებმა იციან, რომ ეს მეორე თვეზე მეტია, რაც აფრასიონ მერკვილაძეს ადეძებენ. მისი დაქვრა თავს იღვეს შორაპნის მაზრის პოლიციის მოხელეებმა საპოლიციო დარაჯებისა და ყაზახ-რუსების დახმარებით. ამ ერთის კაცის გულისათვის ღამის მთელი შორაპნის მაზრა გაანადგურონ. 15 მარტს დიდი თავხარა დასცეს სოფელ საზანოს, როგორც ეს გადმოცა ერთმა იქაურმა მცხოვრებმა. ცეცხლი მოუკიდეს და გადასწვეს ალექსი ვარდოსანიძე. აქვე ცეცხლის ჩასაქრობად მოსულიყო ხალხი, მაგრამ არ მიუშვეს. ერთს მისულთაგანს, დარისპან ვარდოსანიძეს, დაქვრეს თავში თოფის კონდახი და საწყალი კაცი იქვე მოჰკლეს. შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს მელიტონ ჩუბინიძის, ხოსია ნებიერიძის და ამბაკო ჩუბინიძის სახლებს. დააპატიმრეს 22 კაცი...

როცა ვბრუნდებოდი, დაბა ქიათურაში ერთი სამწუხარო ამბის მოწმე გავხდი. აქ სოფლებში დედა კაცთაგან თავისუფლად ვერაფერს ვაივლის, თუ რამდენიმე კაცი დამცველად უკან არ მისდევს. ქიათურაში სამი მანდილოსანი ჩამოსულიყო ახლო სოფლიდან და საჩხერისაკენ რაღაც საქმისათვის

მიმგზავრებოდნენ საღვურის დარბაზში ქალებს ყაზახები მიუხდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. იქ დამსწრეებმა ქალები კერძო ოთახში შეიყვანეს და კარები ჩაუკეტეს, მაგრამ ყაზახები მიაღწინ ურცხვად და დაუწყეს კარებს მტვრევა. ბევრის ხვეწნა-დავიდარაბის შემდეგ ყაზახებისაგან ქალები ვისხენიო. სამწუხარო ის იყო, რომ იქვე ასამდე ყმაწვილი კაცი იდგა და ასეთი პირუტყვეული საქციელი ყაზახებისა ყველას აბრაზებდა, მაგრამ ვერც ერთს მათგანს ხმა ვერ ამოელო.

აი, ასეთია მღკომარეობა ჩვენის კუთხისა. ხალხი განადგურდა და ყაზახ-დარაჯების თარეშს დასასრული არ უჩანს.

ქ. ქვიჩია.

მარკნება ისტორიაში

(პ. ლავროვის „ისტორიულ წერილებიდან“)

II

ადამიანის და ერის ცხოვრების შედარებას რომ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, მაშინ ვიტყვით, რომ ადამიანის პიროვნებას შეესაბამება პიროვნება ისტორიულ ეროვნებისა. არის წამები, როდესაც განვითარებული პიროვნება საზრიანობას აძლევს თავის არსებობას, სწონის თავის ძალ-ღონეს, იმსკვალება ერთის განსაზღვრულ რწმენით, ცხოვრების საზოგადო მიზანს სახავს თავის მიზნად და ცხოვრობს თანახმად ამ მიზნისა. და თუ ხან და ხან, გარეგან პირობათა ზედგავლენით, გადაუხვევს, მაინც ამ დასახულ მიზანში ხედავს ის აზრს და პროცესს თავის განვითარებისას საზოგადოებრივ ცხოვრებაში რომ შეიძლებოდეს მსგავსი მოვლენის მოქმენა, მაშინ ჩვენ შეგვეძლო წარმოგვედგინა, რომ განსაზღვრულ ეპოქაში ილვიძებს ეროვნული შემეცნება, რომ ეს შემეცნება არის იმავე დროს ეროვნულ განვითარების შეგნებული მიზანი და რომ ამ მიზნისკენ მიისწრაფვის ყოველი პიროვნება; ასეთი მიწრაფება გადაეცემის შთამომავლობას, რომელიც იმავე მიზანს ისახავს. ამ რიგად საქმე გადადის ჩამომავლობიდან ჩამომავლობაზე, სანამ არ დაიღვევა ეროვნებაში არსებული განვითარების ძალა, როგორც ეს ემართება პიროვნებას მოხუცებულობის დროს; ან სანამ ისტორიული კატასტროფა არ დაამსხვრევს ეროვნებას, როგორც, მაგალითად, ავადმყოფობა ან ძალმომრეობა ჰქონავს პიროვნებას.

მაგრამ ასეთი შედარება ფანტაზიაა. პიროვნებისა და ერის ცხოვრებაში საერთო მხოლოდ ისაა, რომ ყოველი აწ დამსხვრეული ეროვნება წარმოიშვა, გაიზარდა, განვლო განვითარების სხვა და სხვა საფეხურები, განვლო ხანა სიცოცხლისა და ბოლოს განიცადა სიკვდილი. ფიზიოლოგიაც ამასვე გვიჩვენებს პიროვნების ცხოვრებაში; აქაც იგივე განვითარების პროცესია, რომელიც ბოლოს თავდება პიროვნების სიკვდილით. თუ გავუსწორებთ თვალს, საზოგადოების ისტორიულ ცხოვრებაში უნდა აღვიაროთ ხანა ყმაწვილობისა და მოხუცებულობისა. რაცა შეგნება ისტორიულ საზოგადოებათა სიკვდილს, ისტორიამ არ იცის ასეთ საზოგადოებათა ბუნებრივი სიკვდილი. იცის მხოლოდ, როგორ ანადგურებდა ერთი ეროვნება მეორეს, ასე რომ კითხვა, — შეუძლია თუ არა ისტორიულ ეროვნებას მოკვდეს თავის ბუნებრივ გზით, — რჩება გადაუწყვეტელი. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია ეროვნება შევა-

დართო პიროვნებას, რომელიც იბადება, რამდენჯერმე გაყმაწვილდება, შემდეგ ბერდება და, უმეტეს ნაწილად, ხდება რაიმე შემთხვევის ან მკვლელობის მსხვერპლად. ასეთი პიროვნება მხოლოდ ფანტაზიის სამფლობელოში თუ მოიძებნება.

კიდევ უფრო ფანტასტიური იქნება, თუ იმ შეხედულობას დავადგებით, რომ ეროვნული იდეა ჩამომავლობით გადაემოდის, როგორც შეგნებული ტრადიცია არსად არავის, არც ერთ ისტორიულ ერში, არ აღმოუჩენია აჩრდილიც კი რომელიმე იდეურ ტრადიციისა. ამა თუ იმ ეროვნებაში ჩამომავლობით გადადის მხოლოდ სრულიად არა იდეალური მისწრაფება. ამ მიწრაფების მოთხოვნილება საერთოა ყველა ეროვნებათათვის და არავითარი იდეის მატარებელი არაა ესაა მხოლოდ ბუნებრივი ბრძოლა არსებობისთვის. ეს მოთხოვნილება აქვთ მხეცებსაც, ეს მოთხოვნილება ამოძრავებდა პირველ ყოფილ ადამიანებს მხეცებთან თუ ერთმანეთთან შეტაკების დროს, ეგვევა მიზეზი დღევანდელ ეროვნულ განხეთქილება-შეტაკებისა. პროგრესიული ამ მოთხოვნილებაში არაფერია რასაკვირველია, ბრძოლის გარეშე პიროვნებათა შორის არც იქნებოდა პროგრესი, როგორც შედეგი ამ ბრძოლისა; ეროვნებათა შორის უბრძოლველად საეჭვოა, რომ გავრცელებულიყო ცივილიზაცია. მაგრამ პროგრესის შესაქმნელად საჭირო პირობები თვითონ პროგრესს როდი ნიშნავს. ეროვნებათა შორის ბრძოლის ტრადიცია მხოლოდ წინაუღწრობს მათს ურთიერთ შორის სამართლიან დამოკიდებულობის შეგნებას; ამ შეგნებისთანავე წყდება ბრძოლა და იწყება პროგრესი.

ახლა დავკრჩენია განვიხილოთ ჩამომავლობით გადმომავალი შეგნებული გადმოცემა რომელიმე იდეალურ მისწრაფებისა. მაგრამ, შეგვიძლია ფაქტიურად დავამტკიცოთ ასეთი მისწრაფება? მაგალითისთვის ავიღოთ ორი ისტორიული ეროვნება.

ებრაელები, მიუხედავად იმისა, რომ რიცხვ-მცირე ერია, ისტორიულ როლს თამაშობდნენ ძველთა-ძველ დროს. ასეთსავე როლს თამაშობდნენ ისინი ევროპაში საშუალო საუკუნეებში და დღესაც არ არიან მოკლებული ისტორიულ მნიშვნელობას, ასე რომ ზოგიერთი მწერლები მეორმოცე წლებში გერმანიაში მომხდარ რევოლუციურ მოძრაობას აწერენ ებრაელთა გავლენას. ბრაელ სოციალისტთა სახელები წაუშლელად ჩაწერილია, როგორც მეცნიერების, ისე სოციალურ მღელვარებათა მატრიანში. თვით ანტისემიტურ მოძრაობის მოთავენი, მტრები ებრაელებისა, აღიარებენ, რომ ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ საზოგადოებრივ ძალას, რომელიც გავლენა აქვს თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. თუ ერთ წამს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ისტორიაში ერთისა და იმავე იდეის მატარებელი იყვენ ძველი წინასწარმეტყველები, საშუალო საუკუნეების ტალმუდისტები ან თანამედროვე ჰენინე, როტშილდი, მარქსი ან ენგელსი? მაგრამ ამასთანავე არც კია ისეთი ეროვნება, რომელსაც განკერძოებულობა და ტრადიციის ძალა ისეთი ძლიერი ჰქონდეს, როგორც ებრაელებს.

მეორე მაგალითისთვის ავიღოთ საფრანგეთი. აქაც ვეძიოთ ისეთი თვისებები, რომელიც უფრო თვალსაჩინოდ გამოსქვივა მის ისტორიაში. ასეთ თვისებად ამ ბოლო დროს შეგვეძლო დავგვსახა მიდრეკილება ადმინისტრაციულ ცენტრალიზმისაკენ. ამაში თანხმდებოდნენ კონვენტი, დოქტრინიორები და ნაპოლეონ III. პოლიტიკურმა მოღვაწეებმა გა-

ნახორციელეს გამგეობის ცენტრალიზაცია: უნივერსიტეტში ეს ცენტრალიზაცია განახორციელეს პროფესორებმა. ოგიუსტ კონტა, თავის პოლიტიკურ მოძღვრების დახმარებით, სურდა მოხდინა ცხოვრების და აზროვნების ცენტრალიზაცია თუ ის თვისება, რომელიც წითელი ძაფით გამოკიათობს და ზოგადია ყველა დღევანდელ პოლიტიკურ პარტიებისთვის, არ შეადგენს „ეროვნულ იდეის“ ელემენტს, მაშინ ძნელად თუ ვიპოვოთ სხვა რამ უფრო დამახასიათებელი. მაგრამ ცდილობდა კი ვინმე აღმოეჩინა ეს თვისება ფეოდალურ საფრანგეთში? არ შეიძლება მივიღოთ ის აზრი, ვითომ საფრანგეთის ერი ფეოდალურ ხანაში განკერძოებულ ერთეულს წარმოადგენდა. ავიღოთ რამდენიმე მომენტი, როდესაც საფრანგეთის ლიტერატურას უმკვეთლად გავლენა ჰქონდა ევროპაზე.

მე-XII საუკუნეში ჩვენ ვხვდებით საფრანგეთის საშუალო საუკუნეთა ეპოქას, რომელსაც ყველგან ბაძადენენ. პარიზის უნივერსიტეტის სხოლასტიკოსები მე-XIII და XIV საუკუნეებში მთელი ევროპის მოძღვრებად ითვლებოდნენ. მე-XVII საუკუნეში სასახლის მოღუქსეებსაც გამოუჩნდნენ მიმბაძველნი. მე-XVIII საუკუნის ენციკლოპედია გაბატონებული იყო ევროპის აზროვნებაზე. შევედაროთ ეს ოთხი ხანა, ამასვე მივუმატოთ უფრო ნაკლებ გავლენიანი ხანა საფრანგეთის რომანტიზმისა და ეკლექტიზმისა. რა ზოგადი იდეა შეგვიძლია აღმოვაჩინოთ საფრანგეთის განვითარების ყველა ამ საფეხურებში? საფრანგეთის აზროვნებას ხომ ასეთი თუ ისეთი გავლენა ჰქონდა კაცობრიობის განვითარებაზე. თუ უარვყოფთ ყოველსავე ხელოვნურად გამოწვეულ დასაბუთებას, მაშინ უნდა უარვყოთ საფრანგეთის აზროვნების ისტორიულ მსვლელობის ზოგადი იდეაც. ეგვევ შეიძლება ითქვას როგორც საფრანგეთის, ისე სხვა ეროვნებათა შესაჩვენებზე თვისებებზე. ზოგადი იდეა, რომელიც გამოსკვივა რომელიმე ერის მთელს ისტორიაში, არ არსებობს.

ამ რიგად, ეროვნულ იდეას შეგვიძლია მივცეთ მხოლოდ დროებითი ზოგად ფორმულის მნიშვნელობა რომელიმე ეროვნების კულტურულ წარსამატებლად. ფსიხიურ მიდრეკილებათა და ისტორიულ პირობათა მიხედვით ამა თუ იმ ეროვნებას თავის არსებობის რომელიმე ხანაში შეუძლია გასწიოს ამა თუ იმ იდეის წარმომადგენლობა და, მაშასადამე, ამ იდეის სახელით შეუძლია დაიკიროს განსაზღვრული ადგილი პროგრესიულ ან რეაქციონურ მოღვაწეთა შორის.

ეროვნების და იდეის ცრუ იდეალიზაციის დამსხვრევისათანავე კრიტიკამ უნდა მოძებნოს ქეშმარიტ იდეალიზაციის სათავე. ჩვენ დავინახეთ, რომ ეროვნება თავის საკუთარ ანსებათ არ არის პროგრესის წარმომადგენელი, ან ორგანო პროგრესისა, მხოლოდ შეუძლია გახდეს ასეთ ორგანოდ. ამ შემთხვევაში ქეშმარიტი იდეალიზაცია ეროვნულ პრინციპისა უნდა მდგომარეობდეს იმ წყაროს ჩვენებაში, თუ როგორ შეუძლავს ერს გახდეს პროგრესიის ორგანოდ.

თუ რომელიმე ეროვნება დიდ ხანს რჩება ერთისა და იმავე იდეის წარმომადგენელად, თუნდ ეს იდეა პროგრესიულიც იყოს, ბოლოს და ბოლოს გადავა რეაქციონერთა ბანაკში. ეს ხდება იმიტომ, რომ არც ერთ იდეას არ ეკუთვნის პროგრესის მონოპოლია. მეორეს მხრით, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ერთი და იგივე ეროვნება თავის ისტორიულ არსებობის დროს სხვა და სხვა იდეის წარმომადგენელი ხდება. ის ხან სათავეში უდგას პროგრესიულ იდეურ მოძრაობას, ხანაც მის დროშაზე წაიკითხავთ საოცარ რეაქციონურ ლოზუნგს.

აქედან გამოდის, რომ, რაც უნდა მაგრად ხელჩაჭიდებული იყოს ეროვნება რომელიმე იდეაზე, ის მაინც ვერ დარჩება სამუდამოდ პროგრესის წარმომადგენელი. კონსერვატიზმი და რევოლუცია აზროვნების სამეფოში კიდევ არ არის თავმდები პროგრესისა. რათა ეროვნება ისტორიაში პროგრესის მატარებელი დარჩეს, თავის ხელმძღვანელ იდეას უნდა ემსახუროს იმ დრომდე, სანამ ის პროგრესიულია და ყოველთვის კრიტიკულად უყურებდეს ამ იდეას. როდესაც ეროვნება უარყოფს სახელმძღვანელო, მაგრამ დრო-გადასულ იდეას. ის თავის დროშაზე უნდა აწერდეს სხვას, ახალს, თანამედროვეს, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლიანობის და პროგრესის შეტანის უკეთესი თავმდები იქნება.

აქედანვე გამოდის, რომ ყოველ ეროვნებას შეუძლია, ბედნიერ შემთხვევაში, გახდეს ისტორიულ პროგრესის მატარებლად. რამდენადაც უკეთ შეიგნებს იგი კაცობრიობის თანამედროვე მოთხოვნილებას, რამდენადაც სავსებით განახორციელებს მას თავის ეროვნულ-კულტურულ ფორმებში, მით უფრო უმკვეთელი ხდება მისთვის ასეთი ალაგის დაქვერა ისტორიაში. რასაკვირველია, ამასთანავე საჭიროა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზოგიერთ პირობათა არსებობა. — საჭიროა, რომ საზოგადოებრივი შეგნება ნებას აძლევდეს და აქვებდეს დამოუკიდებელ რწმენის განვითარებას პიროვნებაში; საჭიროა, რომ მეცნიერს, მოაზრეს საშუალება ჰქონდეს თავისუფლად გამოთქვას ის აზრება, რომელიც მას ქეშმარიტებად მიაჩნია; საჭიროა, რომ საზოგადოებრივი ფორმები იცვლებოდეს ყოველთვის, როდესაც ისინი აღარ არიან გამომატველი ქეშმარიტებისა და სამართლიანობის. ამ პირობათა გარეშე ისტორიულ პროგრესიული მნიშვნელობა ეროვნებისა უზარალო შემთხვევაზე დამოკიდებული, რადგანაც ეროვნება განწყენებული შემცნება და მასზე ლაპარაკი, რომ ის შეაგუჯეს ან განახლებულა რასმე, შეიძლება მხოლოდ მხატვრულად. შეგნება და განხორციელება არსებითად შეუძლია მხოლოდ პიროვნებას. მხოლოდ ადამიანს შეუძლია თავისი ეროვნება გახადოს კაცობრიობის პროგრესიულ ელემენტად, ან მისცეს მას რეაქციონური ხასიათი.

ამიტომ ნამდვილი მამულიშვილოა მდგომარეობს თავის ერის ბუნებრივ მოთხოვნათა საკაცობრიო პროგრესთან შეფარდებაში.

ეროვნების, როგორც განკერძოებულ, დამოუკიდებელ ერთეულის დაცვა და ხელის შეწყობა სრულიად სამართლიანია და სავსებით ეთანხმება იმ მისწრაფებას, რომ ის იდეები, რომელიც ადამიანს რწმენად გადაქცევიდა, ის ენა, რომელზედაც იგი ლაპარაკობს, ცხოვრების მიზანი, რომელსაც ის ისახავს, შეადგენდეს კაცობრიობის პროგრესიულ ნაწილს, არამც თუ ამოიფხვრას სამუდამოდ. თავის ეროვნების უარყოფა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც დარწმუნებულია თავის ერის ჩამორჩენასა და რეაქციონერობაში.

სხვა ეროვნებათა შთანთქმა — მოსაზრებისა კენ მისწრაფება ანტიპროგრესიული ფაქტია. ვისაც ასეთი იდეალი დაუსახავს, იმას იმდენივე უფლება აქვს თავის თავს მამულიშვილი უწოდოს, რამდენიც იმას, ვინც სასარგებლოდ ქადაგებს კაცობრიობის კულტური შედარებას მგელ-მტაცებულთა ზნეობასთან. მსგავსი „მამულიშვილები“ რყენიან და ჩირქსა სტებენ ეროვნულ დროშას და ცდილობენ, შეგნებულად თუ შეუგნებულად, სმარე გაუთხარონ თავიანთ მშობელ ერს, მხეცობის დაღს აკრავენ მას და ხელს უშლიან ამ ერის მიერ სა-

კაცობრიო საღაროში პროგრესულ ელემენტის შეტანას. ასეთი „მამულიშვილი“ იყო კატონი თავის ცნობილ ძილის პირი: „კართაგენი უნდა აღიფხვრას დედა მიწის პირიდან“. შემდეგმა ისტორიამ დაამტკიცა, რამდენი წააგეს ზნეობრივად და პოლიტიკურად რომის მოქალაქეებმა კართაგენის დაქვეით. ერთი ეროვნების მიერ მეორის შთანთქმისაკენ მასწრაფება არის უარყოფა ნამდვილი მამულიშვილობის, უარყოფა პროგრესის.

შეიტანეთ თქვენს ეროვნულ აზროვნებაში მეტი სინათლე; შეიტანეთ მის საზოგადოებრივ წყობილებაში მეტი სამართლიანობა, — მაშინ ის თამამად დადგება იმ საფეხურზე, საიდანაც ზნეობრივ-კულტურულ გავლენას მოიპოვებს ჩამორჩენილებზე, არა თუ შთანთქმის და განადგურების ისინი. ყოველ მოქალაქის ზნეობრივი უფლებაა, მოუპოვოს თავის ერს ასეთი გავლენა და ამით ხელი შეუწყოს საერთო პროგრესს. პროგრესი უპიროვნო პროცესი როდია; ვინმე უნდა იყოს მის მატარებელ ორგანოდ. ნამდვილ მამულიშვილს უნდა სურდეს, რომ ის ერი, რომელსაც იგი ეკუთვნის, გახდეს პროგრესის წარმომადგენელი ამა თუ იმ ხანაში. ამით ის ხელს შეუწყობს მის ისტორიულ მნიშვნელობასაც. ნამდვილი მამულიშვილობა მდგომარეობს იმ მისწრაფებაში, რომ შენი ერი გავლენიან მოქმედებას ეწვეოდეს კაცობრიობის წინსვლელობაში.

ამისთვის კი საჭიროა, რომ მამულიშვილმა იღვაწოს ისეთ პირობათა მოსაპოვებლად, ურომლისოდაც შეუძლებელია საზოგადოების პროგრესიული განვითარება. აუცილებლად საჭიროა, ყოველი შეგნებული დამიანი ჩადგეს თავის მშობლიურ ერში სამოღვაწეოდ, შეიტანოს მასში შეგნება, თვითცნობიერება; კრიტიკულად შეაფასებინოს ხალხს არსებულ წესწყობილების ყოველი მხარე, ერთი სიტყვით შეიქმნეს აქტივი მონაწილე რეფორმატორულ და რევოლუციონურ მოძრაობისა; იმ მოძრაობისა, რომელსაც მიზნად აქვს ხალხში ისეთ ეკონომიურ და პოლიტიკურ წეს-წყობილობის შეტანა, როდესაც ყოველ მოქალაქისთვის სრული სოციალ-პოლიტიკური თავისუფლება უზრუნველ ყოფილი იქნება. ამ მისწრაფებათა გარეშე ნამდვილი მამულიშვილობა არ არსებობს; არის მხოლოდ მისი ნიღაბი, რომელსაც იფარებენ მოლაყებ პუბლიცისტები, ან ხალხის ნამდვილი მყვლეფელნი.

დ. ჭაღავაძე

ბიბლიოგრაფია

(ქართული ენის სახელმძღვანელო გერმანულ ენაზე)
 (A. Durr: Theoretisch-praktische Grammatik der modernen georgischen (grusinischen) Sprache. XIV+170 pag. Wien und Leipzig. Hartlebensverlag.)

საქართველოში მცხოვრებ ქართველს არც კი შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რა ნაკლებად იცნობენ დასავლეთ ევროპაში ქართველობას და მის კულტურას. არა თუ საქართველოს წარსული და მისი თანამედროვე მდგომარეობა ევროპეელისათვის სრულებით უცხო ხილს წარმოადგენს, არამედ თვით სიტყვა Georgia-იც (საქართველო) თითქმის უცნობია მისთვის. ევროპაში მოსწავლე ქართველი ახალგაზღვრება თავის თავზე გრძნობს მწარე ფიქრების მომგვრელ შედეგს თავისი ერის ვინაობის გაუცნობლობისას; მას უძახიან ხან რუსს,

ხან სომეხს, ხან თათარს და კავასიელ „კახაკს“ და ხან ვინ იცის კიდევ რას. გერმანულ ენაზე, მაგალითად, ქართველთა თანამედროვე ცხოვრების შესახებ სულ ხუთიოდე წიგნი თუ მოიძებნება (რაც ძლიერ ცოტაა მდღიური გერმანულ ეტნოგრაფიულ ლიტერატურისათვის). პერიოდულ პრესაში კი ქართველობის შესახებ სრულებით არაფერი იწერება და ევროპაში არც კი იციან, თუ რისთვის იღვრება საქართველოში ამოდენა სისხლი. უმთავრესი მიზეზი ამ ფრიად სამწუხარო მოვლენისა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველომ, თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის დაკარგვისათანავე, დაკარგა აგრეთვე ყოველივე მნიშვნელობა ინტერნაციონალურ პოლიტიკაში. მეცხრამეტე საუკუნეში ის, როგორც ერთი პატარა პროვინცია უზარმაზარ რუსეთისა, დიდად არავის აინტერესებდა. ამიტომაც, თუმცა კავასიის წარმატაცი ბუნება საკმაოდ ცნობილია, მაგრამ ქართველ ხალხის ეროვნული კულტურა და კერძოდ მისი ეროვნულ-პოლიტიკური მოსწრაფებანი კი წყვედილით იყო და არის მოცული. ამას დაუმატეთ აგრეთვე ქართველთა ცნობილი დაუდევრობა და გულგრილობა თავის ეროვნულ ვინაობის გამოჩენის საქმეში და საერთო ნივთიერი სიღარიბე, და ადვილი გასაგები იქნება ჩვენი სრული გაუცნობლობა დასავლეთ ევროპაში.

და მით უფრო სასიამოვნოა, როცა ვამჩნევთ იმის ნიშნებს, რომ ჩვენი ხალხის ვინაობაც არ იქნება ევროპაში მუდამ უცნობი. დიდად სასიამოვნო იყო ჩვენთვის, როდესაც ამ ცოტა ხნის წინად შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა ცნობილ მკვლევარის ა. დირრის მიერ შედგენილი ქართული ენის პირველი სახელმძღვანელო გერმანულ ენაზე შემდეგის სათაურით: „თეორიულ-პრაქტიკული გრამატიკა თანამედროვე ქართული ენისა“. სახელმძღვანელოს შემდგენელი ბ. ნი. ა. დირრი წინასიტყვაობაში, რომელშიაც, სხვათა შორის, საინტერესოა ახსნა მოყვანილი სიტყვა „ქართველი“-ს წარმოშობისა, დაწერილებით მოგვითხრობს ქართულ ენის შესწავლის მნიშვნელობას აღმოსავლეთის ისტორიის გასაგებად, მწუხარებით აღნიშნავს, რომ ქართული ენის სპეციალურად შესწავლას ევროპიული მეცნიერება ამდენ ხანს შესაფერ ყურადღებას არ აძლევდა, და ამბობს: „დღემდის ქართული ენის სახელმძღვანელო გერმანულ ენაზე არ არსებობდა; საზოგადოდ არც ერთ ევროპიულ ენაზე არ იყო ერთი მთლიანი სახელმძღვანელო თანამედროვე ქართული ენისა. ჩვენი შრომის მიზანია სწორედ ამ ნაკლის შეესებოა“. მართლაც, ეს ღამაზად და სუფთად გამოცემული წიგნი იმ ევა საკმაო მასალას უცხოელი-სათვის ჩვენი დედა-ენის შესასწავლად: შედარებით საკმარისად კარგადაა ახსნილი ქართული ენის გრამატიკული ფორმები, შიგ ბლომდაა ჩართული პატარა-პატარა, ადვილად გასაგები მოთხრობები, ლექსები ქართველ მგონებისა, ანდაზები და სხვ. ყველა ქართული სიტყვები იქვე გადათარგმნილია გერმანულად და ამნაირად შესაძლებელი ხდება სახელმძღვანელოთი ულექსიკონოდ სარგებლობა. წიგნის ბოლოს დამატებულია ს ქართველოს რუკა და ქართული წერის ნიმუშები.

სამწუხაროდ, დასახელებულ სახელმძღვანელოში ბევრი კორექტურული შეცდომაა შეპარული და ხან და ხან სიტყვები სრულიად დამახინჯებულია. ეს მით უფრო სავალალოა, რომ ქართულ ენის მოყვარულთა სიმცირის გამო წიგნს მეორედ გამოცემა დიდხანს არ ელირსება. მიუხედავად ამ ნაკლისა, დირრის მიერ შედგენილი „თეორიულ-პრაქტიკული გრამატიკა თანამედროვე ქართული ენისა“ პირველი ცდაა გერმანელთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენისა და

არ შეგვიძლია სულით და გულით არ ვუსურვოთ მას გავრცელება სპეციალისტ-მეცნიერთა შორის, წინასიტყვაობაში ღირსი მადლობას უცხადებს კორექტურის შესწორებისათვის ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორს დ-რ აშბოთს (ცხადია, ამ უკანასკნელსაც ქართული ენა სცოდნია).

ამ სამიოდე წლის წინად ბერლინის უნივერსიტეტის შესანიშნავმა პროფესორმა ადოლფ ჰარნაკმა წაიკითხა ბერლინის ერთ-ერთი სამეცნიერო საზოგადოებაში მოხსენება, რომელშიაც მსოფიანი მეცნიერი ამტკიცებდა საქართველოს ისტორიის და კერძოდ ქართული ენის შესწავლის საქარობას გერმანულ მეცნიერებისათვის. როგორც მოსალოდნელი იყო, ადოლფ ჰარნაკის ავტორიტეტულ ხმას უნაყოფოდ არ ჩაუვლია: სწორედ მის მოწოდებას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ მიმდინარე სააკადემიო წლის საზამთრო სემესტრში ბერლინის უნივერსიტეტში პირველად დაიწყო იმავ უნივერსიტეტის პროფ. ფინკმა ქართული ენის შესახებ სისტემატიურად ლექციების კითხვა (კვირაში ორჯერ).

ყველა ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მეცნიერული ინტერესი ქართულ ენისადმი ევროპაში შესამჩნევად აზრდება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შორს არ უნდა იყოს ის დრო, როდესაც ქართველი ხალხის საერთო ნაციონალურ-პოლიტიკურ ცხოვრებათა და ინტერესდებთან და ასე თუ ისე თავის ცნობის მოყვარობას ამ მხრივაც დააკმაყოფილებენ. საქაროა მხოლოდ, რომ ამ მიზნის მისაღწევად თვით ქართველმა საზოგადოებამაც მიიღოს თავის თავზე შრომა და ამ დიდ საქმეში (ევროპის სიმპათიის მოპოვებას ჩვენ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობასაც ვაძლევთ) შესაფერი მხნეობა და ენერგია გამოიჩინოს. აგ. რამაშაიძე.

მიუშალოს კომედი.

(ლექსი პროზად)

სოკრასავით ამოსულა დედა-მიწიდან, თუ ციდან გადმოკიდებულა ეს კოშკი? რამ სიმაღლეა!.. მე კი ზედ მწვერვალზე ვდგევარ და გადავკურებ ხელის გულსავით გადაშლილ პარისს. სახლები წერტილებად მეჩვენებიან, ქუჩები ვიწრო არშიებად და ზედ ადამიანის მიმოსვლა კი ქანქვლის ცოცვად. აქ, ამ სიმაღლეზე, სულ სხვა ნაირად ფიქრობს კაცი და სხვა გვარადა გრძნობს... და მეც ჯერ-ჯერობით მეტი არა მინდა რა, რომ მარტოდ მარტო, თავისუფლად აქ ვეძლეოდე ხოლმე ოცნებას!..

მაგრამ ეს ვილაც მანდილოსანი ამკვიატებია და, მე რომ მოვდივარ, ისიც მალე გაჩნდება ხოლმე. დღეს კი დაჯსწრა: დამიხვდა და პირველად კიდევაც გამომესაუბრა:

- უკაცრავად კი ნუ ვიქნები და აქაური არ უნდა იყოთ თქვენ, როგორც გეტუობათ?
- დიახ, შორედან მოვსულვარ.. კავკასიელი!
- ააა!.. ჩერქეზი?
- არა.
- ჰმ!.. ჰმ!.. ჰმ!.. მაშ უთუოდ სომეხი?
- არც სომეხი!.. ქართველი! საქართველოდან!..
- ქართველი?! ვინ არიან ქართველები? და სად არის საქართველო?

— კავკასიელი ხალხია... მივივარ, რომ ჩერქეზები გცოდნიათ, სულ სომეხებს იცნობთ და მკვიდრ ქართველებზე კი არა გაგიგონიათ რა?!

— უკაცრავად, მაგრამ დღეს პირველად მესმის ვე ხალხი. სომეხებმა კი თავიც მოგვაბეზრეს.

— დიახ, ძალიან უგანგაშო ქვეყანაა საქართველო!.. თვითონ ქართველები ხმას არ იღებენ და სხვები კი მათ არ ახსენებენ.

- ამ სიშორეს რას მოუყვანიხარ?
- ავადსუფობას.
- მოზერდით იქაურ ექიმებს და თავიდან მოგიშორებს?.. აქეთკენ წ მოგიტყუებს?
- აქ უკეთესი ექიმები არიანო.
- ექიმის უმეტესობა ყველგან ექიმია: მაჯას გინახავს, ენას გამოგაყოფიებს, ყურს გულზე მოგადებს და დაგიწერს რეცეპტს. ამას მონადომებს სულ ერთ წამს, მაგრამ შრომის სასყიდელი კი ღიღია... კანსაკუთრებით აქ, პარისში. მეც უცხო ქვეყნელი ვარ... ამერიკელი. წელიწადია, რაც აქეთკენ გადავიველ. შემოვივარე მთელი ევროპა, ვეძებ და ჯერ ვერ მიმიგნია...

- რას დაეძებთ?
- კაცი ეძებს იმას, რაც აკლია და განსაკუთრებით ქალი!.. მე ვეძებ სიყვარულს!..
- სიყვარულს?!

— დიახ, სიყვარულს უბიწოთა და თავისუფალს.

— ამერიკა მე დიდ ქვეყანად წარმომიდგენია და ნუ თუ იქ ვერ მოგიწახავსო?

— ჩემს სამშობლოში? იქ ხელოვნებამ დაჩრდილა სიყვარული და ტრფიალება მედიდურობად გადაიქცა, ისე როგორც აქ, ევროპაში, სადაც ფულია ვალმერაბებული, სიყვარულიც სავაქრო სავანად გადაქცეულა!.. საუკუნო განსვენება ჩემ მშობლებს! დიდი მემკვიდრეობა დამიტოვეს: თვალ-ტანადობა, ჯანმრთელობა და შეძლება, მაგრამ ესეები ყველა ვერ მაკმაყოფილებენ უსიყვარულოდ!.. იმას კი დავეძებ და ვერ მიპოვია...

— საკვირველია, რომ მაგას ამბობდეს ადამიანი იქ, სადაც...

— იქ, სადაც ხელოვნება უკიდურესს წერტილამდე მოსულა, რომ მოჰხაბლოს ადამიანი და თვალ-ჯიბე მოსჭრას!.. აქ გარეგნობაა!.. მომხიბლავი გარეგნობა, უსულო!.. და სიყვარულს კი თავის მოთხოვნილება და კანონები აქვს!.. ის კანონები მარტო გარეგნობაში ვერ იხარებენ. როგორც ყველის ნამი, ისე ექირვება ქალს სიყვარული! მაგრამ ვერსად ჰპოვებენ, დამონებიან პირობებს და ვინ გაამტყუნოს?.. არა, როგორც ამერიკაში, ისე ევროპაშიაც, დიდ ქალაქებში სიყვარულს არა აქვს ნიადაგი, იმ სიყვარულს, რომელიც ადამიანს ააქდერებს, აამაღლებს!..

- გეთანხმებით, როგორც ქართველი!
- რაო? რო.ორც ქართველი? ნუ თუ იქ, საქართველოში, სხვა გვარად ესწიხთ სიყვარული?

— მართალია ამ უკანასკნელმა მონობის საუკუნემ თვისი ელფერი დასდვა ჩემ სამშობლოს; მიმბაძაობის ხანა დადგა იქ, მაგრამ ჯერ კიდევ არ მოწკვდარა, — მხოლოდ დასწულეზბულია!.. და სწული ზოგიერთ ძველ აღთქმას ვერ უარს ჰყოფს და მათ რიცხვში სიყვარულსაც. მართალი სთქვით!.. აქაურ ქალს ვანა სიყვარული მოეთხოვება? ის მორათულ-მოკაზმული, ფერნაცხები და სარკის წინ დაქანცული გამოდის, რომ აქეთ-იქით ქსელი ვაბას და ბუზი დაიჭიროს. ოღონდ ბუზი კი იყოს და მისთვის სულ ერთია, ვინც იქნება!.. როგორც ქართველს, არ მესმის ეს!.. ჩემ სამშობლოში ხელო-

ვნებას ჯერ კიდევ არ დაუჩაგრავს ბუნება. ვარდი თავისუფლად სუნენლოვანად იზღვება, ია ნახად თავსა ჰზრის და ყაყაჩო მდლიდურობს!.. და სადაც ეს სამი ყვავილიანობა არ შეთანხმებულა, ვერც იკიდებს ფესს სიყვარული!.. თვით სიყვარულია ყოვლის შემძლებელი ხელოვნება და ხელოვნება აღარ ეჭირვება!.. სიყვარულია ღმერთი!.. იყო დრო, რომ ქართველ ქალთა უმეტესობას, გარეგნობით ზემოხსენებულად შემკულს, შინაგნობაც ეკავშირებოდა: სული სცემდა ხორცს ნათელს და ხორციც სულ შექათათებდა!.. დღესაც კიდევ თუმცა იზვიათად, მაგრამ მიინც აქა-იქ სადმე კიდევ მოიპოვება ნამდვილი ქართველი ქალი და ერთს მათგანს მე კიდევ ვეთაყვანები და ეს თაყვანია უსმო ლოცვა-დიდება შემოქმედებისა!.. ჯერ სანამ მთაგორას მოფარებული მხე მწვერვალზე თავს ამოჰყოფდეს. გაისმის ცისკრის ხარვიით ტბილად, გულის სიღრმემდე ჩამწდომი მისი ხმის წკრიალი! ეჰ, გაუღვიძნია ჩემ სატრფოს, ხელ-პირი დაუბანია, დაუფარცხნია გულ-მკერდზე დატყვებული თმა, ჩაუტვამს უბრლოდ და შვილებს ისტუმრებს სასწავლებელში, რომ მერე საოჯახო საქმეს მოჰკიდოს ხელი და დაღამებამდე ფეხზე იდგეს. მთელი დღე მოძრაობს და მისი მოძრაობა საარაკოა!.. ყოლიფერა ჰშვენის: გაიღიმებს, თითქო ცა გაიხსნაო, მოქმუხუნის, თითქო დედა-მიწა შეიკრაო!

მინახავს მის წამწამებზე კურცხალი ჩამოკიდებული, მინახავს და ძლივს გადავჩენივარ დადნობას!..

დღიურ შრომით დაქანტული, ღამით რომ ქვეშაგებში მოისვენებს ხოლმე, თითქო მთავარემ მოვიანაო, მე მივდივარ ათრთოლებული, მუხლს ვიყრი მის წინაშე და ზეგარდამო შთაგონებული ვეამბორები მის ფეხებს!.. ვეამბორები მიტომ, რომ იმ ფეხებზე იდგა მთელი დღე და იმ ფეხებს მიმოჰქონდა აქეა-იქით მაშვრალი!.. წმინდაა ის ამბორი, როგორც დედის ცრემლები, და იმ ამბორთან ერთად გათავდება ჩემი სიცოცხლეც!..

ასე ვამბობდი დღევანდელი, ოცნებით გატაცებული და გვიყურებოდი იქითკენ, სადაც ჩემი სამშობლო მეგულებოდა. სულ-განაბული ამერიკელი ქალი ყურს მიგვიტბდა დიდხანს და ბოლოს წამოიძახა: აი სად ყოფილა სიყვარულის ბუდე და მე ეს სად ვეძებდი?!.. უნდა წავიდე...

— სად? პარიზიდან საქართველოში? ეგ სულ ერთი იქნება, რომ დიდებულ დარბაზიდან გლეხის ბოსელში გადავიდეს კაცი!..

— არა!.. იქ, სადაც წამხედურობა და მიმბაძობა არის გამეფებული, გინდ დარბაზიც იყოს, არ მინდა!.. იქ კი, სადაც ორიგინალობაა, გინდ ბოსელიც იყოს, მომავა რა მოსალოდნელია!.. იქ სიყვარული იხარებს და, სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ არის!.. მე უნდა ვნახო შენი სამშობლო და ისიც!..

— ვინ ისიც!..
— ის.. ის, ვისაც შენ მაგრე იხსენიებ. .

აკაკი.

მიხატავს ნამუშავარი

I

სადმოს რვა საათი იყო. ბნელ, ნესტიან სარდაფში ორი მატარა არსება ჭკუჭკან ტანტზე მოკრუნხულაფო და ერთმანეთს შაკრა ჩაჭკროდნენ. თვლები დაეხუჭათ, თუმცა კი არ ეძინათ. შეზღვევის ნიადაგი შერხეული ფთხდის შრადიგ-კი სხარდო მ-

წიებს შიშსა ჭკვრდა. უოველ ხმაურობაზედ ისინი ერთმანეთს უმწოდ კეგროდნენ და, თითქოს არ უნდათ ამცნონ ვისმეს თავიანთი არსებობა, უოველ ფხი-ფეხზე სულის თქისაც-კი შესწევდნენ.

მაკიდაზე რაღამაც კაბობანს, დაეჯხა ზედ ჭურჭელს და გადმოკაგა. უმცროსი, თამრიკო; შკერთა და უნებლიეთ დაიკიფლა.

— სსუ... ნუ გეშინიან!.. თავმა ჭიქა კადმოკაგა... კამხევა უფროსმა, — მარამ, და შიშისაკან აცხტახებული თამრიკო გუდზე შიკარა.

მარო ვითომ გულადობას იჩინდა და ზატარა დას ამხეუება, შიშს უქარწყლავდა, მაგრამ თითონაც შიში იტანდა და ის იყო, ტირილი ერგოდა, რომ გრედან ფეხის ხმა შემოესმათ. ვიღაცა დერეფანში ჩამოვიდა და კარებზე დააკაკუნა.

შაწიებო გაიტრუნენ.

— არავინა ხართ? მარო, კარა გამიდე!

— მამა ნოვიდა, მამა!.. შესძახეს გახარებულმა ბავშვებმა და კარი გააღეს.

დალაღულ დაქანტული მისკა სარდაფში შემოვიდა.

— ღამთა რატომ არ აგინთითა? ჭკიოს მან ბავშვებს.

— ნავთი აღარა გეჭქს... დაღრეული უმასხეს თამრომ.

— შე გაკვეთილები უნდა მოამუშადებინა და... ვეღარ დასრულა მარამ. მისკამ ჭიბიდან სანთელის ნამწივი ამოიღო და მოშვიდა.

— სსემელი არაფერი გაქეთ?

— დღეს არც ჩვენ გვიჭამია... სოჭვა თამრომ და სიყველევის თვადებით მ.მან შესქედა.

— აკი ფული დავიტოვეთ? იწუნა მისკამ.

— ის ფული... სახადმუოფოში ვიყავით დედასთან და ბუდეცა წავუღეთ, წაიღუდლულა მარამ და სლოტაკა თითი პირში ჩაიღო.

— როგორ? ანა დღეს შკოლაში არ უოფილხარ?

მარამ თავი დახარა.

— შკოლაში არ უოფილხარ? გამეორა მისკამ.

— ვიყავი და... გამომავდეს... ძღ-ვ განსტონათ ჩაიღახარაკა მარამ.

— რათა?

— სწავლის ფული არ შემოგიტანია და... მუქთად ვერ გასწავლითო... მაროს უნდოდა უველაფერი იქ გაცონილი ეამნა მამისაივის, მაგრამ შეხედა მას დატანჯულ სახეს და ხმა გაჭკმინდა.

— ოჰ! დაიგმინა მისკამ და მაკიდაზე მუშტო დაჭკრა.

ბავშვები შეკრთნენ და ერთმანეთს გადახედეს. სინუე ჩამოვარდა. სინთელის შუქი ზარმაცად ეგინებოდა მათ სახეებს. თითქოს ქანდაკებაო, სმივენი უძრავად იყვნენ. მისკას მარცხენა ხელზე თავი დაეუდნო, მარჯვენა მაწვეტილივით მაკიდაზე დაედო და გამტრებული სანთელს მისწერებოდა.

მამის დატანჯულ სახას შეხედვამ მაროს გული აუჩუქა, თვლებზე ცრემლები მოადგა და შაწი ტუჩებმა თრთოლვა დაუწიეს. ის მინსკადარი იყო მამას სუედის მიხეხს და უნდოდა როგორმე გაემხარულებინა, რითივე ესამოფენებინა. მივიდა ლოკინთან, გახსნა თავისი საწიგე და დაკეცილი ქაღალდი ამოიღო.

— მამა... ეს დედამ გაუოტიგუნა, გაუბედავად სოჭვა მან და წერილი კადა.

მისკამ სანქაროზე გახსნა და კითხვა დაიწყო.

მაროს და თამრიკოს, რაკი მამის გამხარულების მახეხი იბოგეს, სახე გაუბრწინდათ, პივიდნენ, ხელები ნიკაშქექს ამოიღეს, დაუდრნენ მაკიდას და, ტუჩებზე დიმილით, მორცინარე თვლები მამას მიაბურეს. გავლილი შაში და მწუნებებს დაავიწყდოთ. „მამა წერილს წაიკითხეს“... თუქრობდნენ ისინი. რკიდიმებს, გაინდნენ, შკრე არიფეს მიუაღრესებს, ავტებს კიდევ... დღეს დედა მთელი საათი ჭკოცნიდა...“

მაგრამ მიხაკს თანდათან მღვდლებს ეტეობოდა. სახე ეცვლებოდა. დადრული შუბლი შეიკუმუნხა, წარბები შეკრა, და სახის უოგელი კუნთი აუთრთოვდა; ბოლოს ხელები აკანკალდა და წერტილი გაკარდა. განწირულებით თავში ხელი წაიფლო და გულსაკვლავად ამოიხენქა...

გაკვირვებული ბავშვები ხან მამას შეხედავდნენ, ხან ერთმანეთს მიახერხებოდნენ. მამამ არ გაციხა... მხოლოდ მწარე დიმიდმა გაურბინა ტუჩებზე... მადლობაც არ უთხრა წერილისათვის!... ზირაქო, ჩვეულებრივზე უფრო მოადრუტა... უფრო მაგრა დაიკგნეს... და ეს კენის მათ ნორს გულს ღახვარით მოხვდა. ისინი ხმა ამოუღებლად აპლანდნენ და კუთხეში მიდგნენ. რა ეჭვს წერილში? რად მოადრუტა მამა? ფიქრობდნენ ისინი, მაგრამ ვერ გამოეტყნოთ.

გულმა მათ რაღაც არა ზეულებრივის სისწრაფით დაუწყო ძეგრა. ხან აბერებოდა, კაცანიერებოდა, ხან მოაკუმებოდა, და ზატარაებოდა ისე, რომ სულის თქმაც-კი უჭირდათ. ისინი მზად იყენეს ეტონათ, თვლებიც თითქოს სახსე იყო ცრემლებით, მაგრამ მამის ხათრით ვერა ბედავდნენ. ბოლოს ერთი ძლიერად შეისუნთქეს და სარდაფში კაისმა ნორჩი, წინდა, გულუბრუნად რაღაც ხმა... ეს იყო ბავშვის სპეტაკ გულიდან ამოხსეთქი ზირველი ამოთხვრა.

ორთავეს გულზე მოეშვა, სიამოვნება იგრძნეს... მობრუნდნენ და სველიანი თვალები მამას მიახურეს.

მიხაკა ისე იმ მდგომარეობაში იყო, — წერილს დასცქეროდა და ერთსა და იმავე სიტყვებს კითხულობდა: „შე უღმერთო, სივდილს გადავრჩი... ესღა სრულიად კარგია ვარ, რაღაც მხარხმბ საყვადმოყოფოში? გამოვივანე აქდან... შენი თუ არ გაქვს, — ისესხე... ხომ იცი, რაც დრო მიდის, მეტი იყოლი უნდა ვიხდით სრულიად უსარგებლოდ.“

— „გამოვივანე აქდან“... ადვილი სთქმელია!... ფიქრობდა მიხაკა. რითი გამოვივანებ?... სადა მაქვს ფული? ან ვინ მისესხებს?... მეტი ფული უნდა ვიხდით სრულიად უსარგებლოდ... ჰე... მწარედ ჩაიცინა მან. განა მთელი ჩემი ნაშრომი უსარგებლოდ არ მიდის? განა მთელი ჩემი ძალ დონე სხვისი სასარგებლოდ არ იხრება?! სად არის საშრობად? ადამიანი ვაგდმოყოფობისკან განიკურნა და მინდ ადარ უშეუბნ... უოგელ დღე გადასხანდ მინატებს...

მიხაკამ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგიდას მუშტი დაჭკრა და სასოწარკვეთილებით დააგინა:

— სად არის დიერთი?!
— მამაგ!.. შევეიარეს შეშინებულმა ბავშვებმა და მისევე გაქანს.

მიხაკა გონს მოვიდა და თვალები ცრემლით ავესო.

— არაფერი, არაფერი... ნუ გეშინიათ, შვილებო... ამშვიდება ის. ფიქრში ვიყავი... დაწყით, დიდიხუთ; ხვალ დედას დავიხსენა; მოვა, მოვივლსო, მოვიალერსესო... წადით, დაწყით. მან თითოეულათ გადაკონცა შვილები, გადასხა ზირჟვარი და თითო ვაშლი ხელში ჩაუღო.

შეშინებული ბავშვები ჭერ კიდეც გონს ვერ მოსულდებოდნენ და ღოგინის გაშლის დროს ხშირად გამობხედავდნენ ხოლმე ფანჯარასთან მდგომ, ფიქრით გატაცებულს მამას. როცა ეველაფერი მზად იყო, თავიანთი ნობთი ბალიშის ქვეშ ამოიდგეს, დაწინენ და ერთი წუთის შემდეგ სარდაფის სინთუმეს მათი მშვიდი და უდარდელი ფშვანა ანდგევდა.

მიხაკა მათგანს მაგიდას, ჩაჭკიდა თავი და ფიქრს მიტოვა.

— რა ვქნა? რა ვიღონო? ფიქრობდა ის.— 12 მანეთი სსაგადმოყოფი, 5 მანეთი სწავლის ფული, სპმი მანეთი ბინის ქონა... შე-კი სულ 14 მანეთი უნდა მივიღო... 5 მანეთით დაჯერებული ვარ, — დარჩა 9 მანეთი... ცხოვრება არ გვიხდა?..

ამ ფიქრებით გატაცებულ მიხაკს უტბა, თითქოს რაღაც იმედი მოეცათ, სახე გაუბრწყინდა, წამოფარდა და ოთახში სარეული დაიწყო.

— მამ გერე .. სთქვა მან, — გაკეთებული მაქვს ოცი :თასი ზაზიროსი, — 14 მანეთი. ხვალ სამშაბათა; შაბათამდე უნთი დღე. თუ ჩემს შრომს გაკარგებენ, ანგარიშს მაღებაშივე გავაკეთებ ორმოც ათას ზაზიროს, — ეს იქნება 28 მანეთი და ცხრაც სულ 37 მანეთი... დარც უფლის ალესა დაშვიდრება, ჩატოსაც გამოვიხსენი და სცხვრებულადაც დავგრჩება. სპმი დამე რომ არ დავიძინო, — არა მაშავს რა; სპმიკიერთდ კვორას დავიძინებ.

„ხვალვე მუშობას შევედგები, ჭარხნის დირექტორს ვითხოვ, ცაღვე ოთახი მომტენ და გამინათს კიდევ... ეს მათთვისაც სსარგებლოდ იქნება. თუ ეს ვალი მოვიმოკრე, შერე ადარაფერი მიტვირთ“...

ასე აცინებობდა მიხაკა და ოთახში მხარული დადიოდა, სანამ სანთელი სრულიად არ ჩაიწვა და არ დაბნულდა. მხოლოდ მამის მოკენდა, რომ დაწოლის დრო იყო. ხელების ფათურით მოხანსა ლოგინი, გაშალა და ჩაძმული მ წვა.

II

ნ. შუაღლევის ზირველი სსათი იქმნებოდა. მადლით კედლებით შესვლული ქარხნის ეზო მუშებით მოფენილიყო. სადილს შემდეგ მუშობის დაწყებას ელოდნენ. ზოგნი კედელთან ჩამწკრივებულდებოდნენ და შემოდგომის, სსამოდ მცხენკარე მზის სხივებისათვის ზურგი მიეშვირთ. ზოგნი ჭარხნის დიდ კარებთან ჩაჰფადრიყო და ნატილებ ზურს მადიანად ილუქებოდან. სხაგვანა, ფერმერთადი ქალები, ხელ გაურიდნი დასეირნობდნენ; თავსთავარება ცხვირზე ჩამოეწათ და თავიანთ უსიცოცხლო, მსქრალ თვლებს მზეს არიდებდნენ.

ზატარა ბავშვებიც აჭა-იქ ჩაცნულდებოდნენ. თავი გვერდზე გადაკვდათ და ხელები მოწვეტილივით ძირს დაეშვათ. მზე, ვითა მცდური, დანათობდა ამ ნორჩ მუშათ, თითქოს იჭკვედა მათ სსცუქოდ, სსლადობოდ, მაგრამ ჭანცმაღეუღნი მხოლოდ შურით შესცქეროდნენ მხარულად მოთამაშე მზის სხივებს და მტვერში გაწვდილ ფეხებს ხან გაშლიდნენ, ხან უღონად ერთმანეთს შემოკრავდნენ.

მხოლოდ ამათი ენერტიის გამანადგურებელი, უხარმაზარი შავი გეშ.მი თვალწვდენულ სიგრძებე ექთმი ცწოლილიყო და მისცანვე ახრდილად ქვეულს ადამიანებს გულგროვად შესცქეროდა.

ცოტათი შეეზოვას თუ ეტეობოდა სახეზე ეპოფილება. ის გახვეულიყო დიდ ქურქში, ტვიკართან დასაჯდომზე ცწოლილიყო, კრძელი ჭოხი გვერდით მიეუღებინა და თავის ზატარა ძაღლს ეთამაშებოდა. განბიერებული ძაღლი ხან უფთო გულზე შეხტებოდა, ხან ხელებს უღოკვდა, ხან დრებით თავის ბანს კბლებს ქურქის კალათს ჩაჭკიდა და თავისკენ ეწყოდა. ეპოფილდა შეეზოვებ სტატება ეურებში ხელს, ათორვედა გულზე და ალერსით ეუბნებოდა:

— შუკ; შუბოკ!.. შე ეშმაკო.. შენა, როგორ ცელქობ, როცა მადარი ხარ!..

შუკიც, მადლობის ნიშნად, თავის ზატარას ჟვალებს უღოკვდა.

შეეზოვე ხშირად წამოდებოდა ხოლმე და კარვისკენ გაიხედავდა, რომ თავისი მოვალეობა მტკიცედ და მუწურველად შეესრულებინა და ჭარხნის წესრიგი არ დაეღვია. ამ სსმსხურის აღსრულების დროს მისი თვალები უნებურად გაჩერდებოდნენ ტვიკრის წარწერაზე, რომელსაც სსსობით წაიკითხავდა: „გარემო ზირ“.

თათვის შემოსულა ჯერდ ლუდი... მიმოხედვდა გარშემო, რომ დარწმუნებულიყო, კანონს ხომ არაფერ არღვევდა და, რაკი უკვლავიერს წესიერად დაინახავდა, წამოწებოდა და ისევ შუათან თამბაქოს განაგრძობდა.

შუგმა ერთბაშად ჰატონის ალერსს თავი მიანება, ურუბო დატყობს და დაიდრინს. გადმოხტა და უფათ შინკრისაკენ ბეჭინა. ამას მოჰყვა კივლი. შუგინებული შეეხოვე წამოვარდა.

— შუგ, შუგ!.. მიაუიონ მან და ქუჩისაკენ გაქანა ჰატონის ხმაზე ძალი შეჩერდა და კუდის ქიკა და წუწკუნნი დაიწყო. ორი მტრადი ბავშვი მიწაზე განარცხულიყო და შუგინებული ერთმანთს ჩაჭკრდნენ.

მათ დაქანრულ სახეს მიწის ფერი დასდებოდა. შვი თმები ბურბურღლათ, დაღებულ ზირიდან მწია თუთრი კბილები ბრთლივით გაშოკრთდნენ უფუქს თვალებიდან, გადმონადენი ცრემლის ნაკადული მწია, ღამაზ ნიკაძეკეში ისვენებოდა.

ბავშვებმა, რა დაინახეს ადამიანი, ტირილს უმატეს და სველი თვალები შეეხოვეს მიანერეს.

ამათ ტირილზე მუშებინ შავროვდენ და, რაკი ქუჩაში გამოსვლის ნება არ ჰქონდათ, კარებიდან ცქერა დაუწესეს.

— ვინ გინდათ? დიდგულად შეეკითხა შეეხოვე და ბავშვებს მიუხილვოდა.

— მამა მინდა... ა... ა!.. ტირილათ სთქვა უფროსმა.

— რას მიჰქარავ, შე ღეკვო! რომელი მამა? განა არ იცი, აქ შემოსულა არ შეიძლება? დააუვირა შეეხოვემ.

— ჩემი მამა... ა!.. გაბა უმცროსმა და სახელთით თვალები ამოიწმინდა.

— კასწი, კასწი უბრძანა შეეხოვემ და გამობრუნდა.

ამ დროს ერთი მუშათაგანი, სერგო, გამოეთიშა სხვებს, მივიდა ბავშვებთან და ალერსით ჰქითი:

— ვინი შეიღებო ხართ თქვენა?

— მი... ხა... კა... სი... ისევ ტირილით უმასხეს უფროსმა.

— რომელი მისაკანი?

— ბენავა.. მასა...

— „თავიანი მისაკანი“...

— „ხვენი მისაკანი“... გაისმა მუშებში და ამას მოჰყვა სართლად ჩხიქილი.

— შერე, აქ რაღად მოსულხართ? განაგრძო კითხვა სერგომ.

— სამი დღეა, შინ არ მოსულა... გულანოსკენით განაგრძო მართმ, დედა საგადმოყოფაში წვეს... ჩვენ გუშინ არაფერი გვიტყვიან... დამე მარტონი ვართ... არც შეკლავსი წავსულვარ...

ამ დროს ეგზომი ქარხნის დირექტორი გამოვიდა.

შეეხოვემ თავისი ბატონი დაინახა თუ არა—დატრიალდა, ჩაერია მუშებში, ერთი ორი მუჭაღუკინი ბავშვებს წაჭკრა და დაივივირა:

— კასწოთ, კასწოთ... შეღით ეგზომი... აქ დგომა აკრძალულია...

რაკი დირექტორი დაინახა, სერგომ ჩაჭკიდა ხელი ბავშვებს და მასთან მიიწვირა.

დირექტორმა ხკად დახედა მათ, გამოჰკითხა ვინაობა და ბოლოს სთქვა:

— მისაკა ბენავაქს შე ნება მიგვეცე ცალკე ოთახში ემუშავნი ამ ზარბათ, რომ შობათმდე ორმოცი თასი ზაზაროსი გაუკეთებინა. ამოდო უბის წიგნი და შიგ დახედა. მათე ნომერში მუშათს, ქვევით სარდაფში.

დირექტორი განტონისაკენ წავდა, სერგომ ბავშვები სარდაფსაკენ წაუწვინა.

დირექტორი განტონისაკენ წავდა, სერგომ ბავშვები სარდაფსაკენ წაუწვინა.

მივიდა თუ არა, სერგომ კარებზე დააკაკუნა და შესძახა:

— მისაკა!

მასუხა არ იყო. კუჭრუტანიდან სინათლე მოსჩანდა:

— მისაკა! გაიმეორა მან და კარს მიაწვა.

კარი მიგნიდან იყო დაკეტული.

— ბენავაქს! უფრო მადლა დაიკვირა სერგომ. ოთახიდან სინათლე სინათლი მდებარე მდებარე. ზარდაცემული სერგო კარებს მოშორდა, მაგრამ თითქმის უბედურება იგრძნო, რაც ძლი და დონე ჰქონდა დაქვეას და კარი შეატრია.

ქვით მოთენილ იატაკზე მისაკა უგრძობლად ეკლო. სერგო მიიქრა მასთან, გასაწვა,—ცივი იყო.

— ჩქარა, კეიმი, კეიმი! დაიკვირა სერგომ და კარედ გამოვიდა.

ბავშვებმა. საშინელი დრადი მორთეს.

შავროვდნენ მუშები. მივიდა დირექტორი. მან ჩუქულ ბრვიან გულწინებით შესწა მისაკას.

— რა დაქარაო? იკითხა მან და ცხვარსახტა ცხვირზე მათარა.

მისაკას სხე სრულიად დაღმეკოდა, ზირიდან ქათი სდიოდა. კისერი მოგრილია, მარჯვენა თვალი დახუჭოდა და მარცხენა კი უსინდელად იუერებოდა. ხელფეხი დაკვერჩხილია. მის კარში მამაზისები, გილსება და თამბაქო უარა. ამის დაინახვამ დირექტორი უფრო გაბრაზა.

— საკვირველია, დემრთხანი!.. თუ მუშობა არ შეუძლიათ, რაღად ჰქვებენ სელს?! ამდენი ზარალი!.. სთქვა მან გაბრაზებულად და კარში გავიდა.

კეიმიც მივიდა. დიდი ხნის უურადებით მისჯვის შემდეგ გამოიხილდა:

— დამბლაა.. ცოცხალია, მაგრამ მარჯვენა მხარე წართმეულია აქვს.

გონება დაკარგული მისაკა დააკდეს საკარზე და საგადმოყოფოსაკენ გაქანეს.

— მამა... მამა... ა... ა!.. გულსაკლავად დრადლებდნენ მართ და თამრო, როდესაც იმათ თავის სახლსაკენ სერგო ეტლით მიჰქარავდებოდა...

ვ. შალიკაშვილი

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ მეხუთე ნომერში პირველ გვერდზე დაბეჭდილ ლექს ბოლოში შეცდომით არ აწერია ავტორის—აკაის—სახელი.—მეოთხე ნომერში ნიკოლოზ ბენავარიანის დღობის ბერიძის წიგნი გურულუების სასარგებლოდ შემოწირულად შეცდომით აღნიშნულია 25 მან., უნდა იყოს: 100 მან

რედაქტორი ფ. გოგინაიშვილი გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.



მოითხოვეთ ნამდვილი

„ოლმგრინი“ მ. კ. ლემბევიძის

ეს წამალი სრულიად აკრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერს და მეტ-ნორც ძირიან-ფესვიანად, მხოლოდ ეტავეტი უნდა ჰქონდეს მთავრობისაგან დამტკიცებული, № 22473. იყიდება ტფილისში—საფთაქო საქონლის კავკასიის სავაქრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (წლი.)